


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას, ცყუილებით და ჭბრბით ბუბთის გაცანა ყუულა უჯადრისბბაზე უსამაგლესია.

**დაარსებულია 1918 წელს.**

პარასკევი, 30 აგვისტო, 2013 წელი.

№165 (7292)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

## სოფელ ჭელაში არსებულ მართლმადიდებელი მოხსნილი მინარეთი დასაწყობდება და დაილუქება

ამის შესახებ საპატრიარქოსა და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი. ერთობლივი განცხადება ურწმუნოების საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მამა დავით შარაშენიძემ გააცნო. მისი ინფორმაციით, კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავრები საპატრიარქოში გუშინ საქართველოს მუსლიმ რელიგიურ ლიდერებს შეხვდნენ და ადიგენში განვითარებულ მოვლენებზე ესაუბრნენ.



პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ და სრულიად საქართველოს მუფთმა ჯემალ პაქსაძემ.

ერთობლივი განცხადების თანახმად, საპატრიარქო აბსოლუტურად ეთანხმება მართლმადიდებელი მრევლის სამართლიან პროტესტს მომხდართან დაკავშირებით.

ამასთან, ითვალისწინებს მუსლიმი მოსახლეობის განწყობასა და სამმართველოსთან შეთანხმებით აცხადებს: „მინარეთი დასაწყობდება სოფელ ჭელაში, ნეიტრალურ ადგილზე, დაილუქოს და იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ; არ მოხდეს მისი სადმე აღმართვა, ვიდრე არ მოწვევდება საკანონმდებლო ბაზა და არ შედგება მოლაპარაკება საპატრიარქოსა და მუსლიმთა საბჭოს შორის; ეთხოვოს ხელისუფლებას, დაიწყოს მუშაობა, რათა კანონით განისაზღვროს რელიგიური ნაგებობების მშენებლობების მიზანშეწონილობისა და ნებართვის გაცემის საკითხი, რათა თავიდან იქნას აცილებული რელიგიურ ნიადაგზე შფოთი და დაპირისპირება; ამასთან, მივმართავთ მრევლს, თავი შეიკავონ გამოსვლებისგან, შეინარჩუნონ სიმშვიდე და ურთიერთპატივისცემა“, - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

პრესკონფერენციაზე კომენტარები გააკეთეს



## თხუთმეტმა ბათუმელმა გოგონამ ისლამი მიიღო

**მიზანმიმართული, სწრაფი და რუმი ქარიშხალი მზადდება**

**უაწყინეთ ღიმილი თქვენს მტრებს!**

**არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც იმდენ ბერკეტს ფლობს ქვეყანაში, რამდენსაც - ნაცემოდრობა**

**ამერიკის ფიცი ძნელი დასაჯერებელია**



**არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს ძმას ივანიშვილის ლიკვიდაციაც დაავალეს**

**ბიძინა ივანიშვილი - პოლიტიკური კარიერის მზის ჩასვლა?**

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..**

# დღევანდელ საქართველოში არავინ დაიჩაბრება!

## ლია წერილი სალომე ზურაბიშვილს

ძალბატონო სალომე, თქვენს ღია წერილს ასევე ღიად მინდა ვუპასუხო და პირადად თქვენ და მთელ საზოგადოებას გავუზიარო ჩემი დამოკიდებულება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენს მონაწილეობასთან დაკავშირებით.



არაერთხელ განვაცხადე, რომ დემოკრატიის უპრეცედენტოდ მაღალი სტანდარტებითა და მოქმედი კანონმდებლობის განუზრელი დაცვით არჩევნების ჩატარება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის და დიდი გამოწვევაა ჩვენი ხელისუფლებისთვის. კონკურენტული არჩევნების დემოკრატიული ერთ-ერთი ნიშანდობაა და ამიტომ დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი ღირსეული კანდიდატი ვინილოთ საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩაბმული. თქვენ, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ღირსეული პიროვნება ბრძანდებით და პირადად მე მოხარული ვიქნებოდი, თუ თქვენს გვარსაც ვინილაგდი საარჩევნო ბიულეტენში.

ამასთანავე, ჩვენ ერთად ვიბრძოდით ამ ქვეყანაში კანონიერების დასამკვიდრებლად და ერთი კაცის დიქტატის, ერთი კაცის ნების მიხედვით ავტორიტარული მმართველობის დასამთავრებლად.

თქვენ, როგორც ამ ქვეყნის გამორჩეულ მოქალაქეს, როგორც საფრანგეთის ემიგრაციის ღირსეულ შთამომავალს, ევროპული კულტურისა და დემოკრატიული ღირებულებების წიაღში აღზრდილს, კარგად მოგეხსენებათ, რომ ერთი პირი, რაგინდ რა თანამდებობისა და ავტორიტეტისაც არ უნდა იყოს იგი, ვერ უნდა წყვეტდეს ვინმესთვის, თუნდაც განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნებისთვის, განიხილოს და შეეხება, - ამ საკითხს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი და კონსტიტუცია განსაზღვრავს. ასევე დაუშვებელია მთავრობის ან პარლამენტის მიერ სასამართლოს ან საარჩევნო კომისიების კომპეტენციაში შემავალ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

მესმის თქვენი შეშფოთება იმის გამო, რომ გავრცელებული არაოფიციალური შეფასებებისა და ცესკო-სა და სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არსებობს სამართლებრივი ხასიათის კითხვები არჩევნებში თქვენი მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე. მაგრამ მე ვერ და არ ვიქნები სამართლის უმაღლესი ინსტანცია ჩვენს სახელმწიფოში. ეს პირობა მივეცი ჩვენს ხალხს და მას არავითარ შემთხვევაში არ დავარღვევ.

ამიტომ ვაკეთებ მხოლოდ იმას, რაც შემიძლია - კიდევ ერთხელ მივმართავ და მოვუწოდებ ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს, რათა მოქალაქეების, მათ შორის, თქვენი, პოლიტიკური უფლებების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების დროს იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით, კანონებით და საკუთარი შინაგანი რწმენით. თქვენ კი გირჩევთ, ჩვეული შემართებითა და პრინციპულობით შეეცადოთ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებებში თქვენი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას - მერწმუნეთ, დღევანდელ საქართველოში აღარავინ დაიჩაბრება, თუკი სიმართლე და კონსტიტუცია მის მხარეს აღმოჩნდება.

პატივისცემით, ბიძინა ივანიშვილი

## ინფორმაცია

### „მე-9 არხი“ მუშაობას განაგრძობს

— „მე-9 არხი“ დასურვასთან დაკავშირებით განსაზღვრული თარიღი პირველი სექტემბერი დღის წესრიგიდან მოიხსნა, — ეს განცხადება ჟურნალისტმა ია ანთაძემ „პირველ რადიოსთან“ გააკეთა. ჟურნალისტის თქმით, საინციფტივო ჯგუფი ვადებში არ არის შეზღუდული და პრემიერმა გამოთქვა მზადყოფნა მოლაპარაკების გაგრძელების. ია ანთაძის თქმით, ახლა საინციფტივო ჯგუფმა დეტალურად უნდა წარმოადგინოს ხედვა ტელევიზიის განვითარებისა და ხარჯების შესახებ.

როგორც „დაბრკობება“ პრემიერმა გვითხრა, რომ მხარს უჭერს ამ იდეას და ამიტომ ცხადია, 1 სექტემბერზე არავის აღარაფერი აღარ უთქვამს. მან თქვა, რომ როცა იქნებით მზად, მაშინ გაავაგრძელოთ მოლაპარაკება. შევთანხმდით ამაზე, რომ ვაგრძელებთ მუშაობას და ალბათ ერთი კვირის შემდეგ უკვე ვიქნებით მზად, რათა უფრო დეტალურად ხედვა წარვუდგინოთ პრემიერს, როგორი გვინდა, რომ იყოს ეს ტელევიზია, რა დაჯდება... ვფიქრობ, ერთ კვირაში, 10 დღეში ჩვენ უკვე ვიქნებით მზად, — განაცხადა ია ანთაძემ.



ნატა ნიკოლაძე

## ლაზანყურის ექი

# არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს ძმას ივანიშვილის ლიკვიდაციაც დაავალეს

ლაზანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული არჩილ ჩოხელის დის სათუნა ჩოხელის ვარაუდით, მისი ძმა სპეცოპერაციის ადგილზე წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით იმისთვის მიიყვანეს, რომ მოეკლათ.

— ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. კარგად შემუშავებული გეგმა ჰქონდათ — არჩილი ყველა შემთხვევაში უნდა მოეკლათ. ეს მოხდა უშუალოდ პრეზიდენტთან შეთანხმებით. ასევე მომზადდნენ პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმდროინდელ შს მინისტრ ბაჩო ახალაიას და კანტის კონტრდაზვერვის იმ თანამშრომლებს, რომლებიც მაშინ ადგილზე იმყოფებოდნენ. თითოეულ მათგანს ვდებ ბრალს. ჩემი ძმა მოკლეს და ამის მიზეზი იყო ერთადერთი — ხელფასი, რომელსაც ის როგორც სპორტსმენი, ბიძინა

ივანიშვილისგან ყოველთვიურად იღებდა. არ გამოვრიცხავ არც იმასაც, რომ ჩემს ძმას ივანიშვილის ლიკვიდაციაც დაავალეს, რადგან ერთ-ერთი ბოლო ვერსიით, ივანიშვილის მოკვლა ქისტებს ჰქონდათ დაავალებული. ვფიქრობ, ეს არჩილსაც მოსთხოვეს. მან ეს არ შეასრულა და ამიტომაც მოიშორეს, — აღნიშნა სათუნა ჩოხელმა.

ლაზანყურის სპეცოპერაციიდან ერთი წელი შესრულდა. სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ სპეცრაზმის ორი თანამშრომელი არჩილ ჩოხელი და სოლომონ ნიკოლაური, სამხედრო ექიმი — ვლადიმერ ხვედელიძე. შს-ს მაშინდელი ოფიციალური მონაცემებით, ლიკვიდირებულია 11 შეიარაღებული პირი, რომელთაგან შვიდი დუისის სასაფლაოზეა დაკრძალული.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ლაზანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სპეციალური საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოდის. საკუთარი ინიციატივა ნანუაშვილმა ლაზანყურის სპეცოპერაციისას დაღუპული სპეცრაზმელის, არჩილ ჩოხელის ოჯახს გააცნო, რომელიც მცხეთის რაიონის სოფელ გალაგანში მოინახულა. ამასთან, ნანუაშვილის თქმით, აღნიშნული კომისია თავის თავზე აიღებს იმას, რომ სპეცოპერაციასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია შეავსოს.

— სამწუხაროდ, ერთი წლის განმავლობაში გამოძიება ფაქტობრივად არ ჩატარებულა, რის გამოც დღემდე უცნობია, რა მოხდა სინაღვილში. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ

გამოძიება გაჭიანურებულია. კითხვები, რომლებიც ერთი წლის წინ დაისვა, კვლავ ძალაშია. მეტიც, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტი კითხვა ჩნდება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ კითხვებზე პასუხი გაცეცხადება. ძალიან ცუდია, რომ ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, გამოძიება ბოლომდე არ მისულა და სიმართლე დაუდგენელია. მიგვაჩნია, რომ სიმართლე უნდა დადგინდეს. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ ვინცერთ სპეციალური საზოგადოებრივი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის მზადდებით. დღეს ამასთან დაკავშირებით პანკისის ხეობაშიც ვაკირებ ჩასვლას, სადაც უზუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს შევხვდებით, — განუცხადა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს არჩილ ჩოხელის ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემდეგ.

## რელიგიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების მცდელობა

# თხუთმეტა ბათუმელა გოგონა ისლამი მიიღო

TABLOIDI-ს ინფორმაციით, თურქული მედია იუნწება, რომ 15-მა ბათუმელმა გოგონამ ისლამი მიიღო. მათ ყურანი დაიზეირეს და „ჰაფიზებად“ მონათლნენ. ბათუმელმა გოგონებმა უკვე გაიარეს ორწლიანი კურსი, სადაც არაბული ენა სრულყოფილად შეისწავლეს და შესაბამისი სერთიფიკატებიც მიიღეს. აჭარაში მოქმედება ისლამისტურმა ორგანიზაციამ „მინარა“ მათგან 7 „წარჩინებული“ მოსწავლე შეარჩია და თურქეთის ქალაქ ინეგოლში, სასულიერო სასწავლებელ „მედრესეში“ გაგზავნა. ბათუმელი ახალგაზრდების სონსორია ისლამისტური ორგანიზაცია IHH (ადამიანთა დახმარების ასოციაცია).

შესაძლებლობა, რომ შეიღებოს სრულყოფილი განათლება მისცენ. ისინი სწორედ ამ შემთხვევით სარგებლობენ — მოსახლეობას აიმიედებენ, რომ მათ შეიღებეს საზღვარგარეთ უმაღლესი განათლებას მისცემენ. ეს ორგანიზაციები სასულიერო სასწავლებლებში უმეტესად ბავშვებს გზავნიან, სადაც მხოლოდ

„ჰაფიზს“ იმ ადამიანს უწოდებენ, ვინც ყურანი ზეპირად იცის, ისლამისტური რელიგიის ერთგვარი „მცველია“, „წმინდა სიტყვას“ სხვებს გადასცემს და ასწავლის.

„დამეთანხმებით, არაბულად დაწერილი ყურანის მთლიანად დაზეპირება სურობა არაა როგორც წესი, სასულიერო სასწავლებლებში საქართველოდან გაგზავნილ „წარჩინებულ“ მოსწავლეებს ყოველდღიურ სახარჯო ფულსაც უხდიან, მათ ოჯახებს კი პროდუქტებით, თუ საყოფაცხოვრებო ნივთებით ამარაგებენ. თურქეთში სწავლის დასრულების შემდეგ, ეს ახალგაზრდები სამშობლოში ბრუნდებიან და თურქეთში მიღებულ „ცოდნას“ თანამემამულეებს უზიარებენ.



რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ხდება

და მხოლოდ ისლამი ისწავლება და მათთვის სხვა ყველაფერი დამთავრებულია. ისლამისტური ორგანიზაციები დღეს უკვე იმდენად გაძლიერდნენ, რომ ბათუმში რამდენიმე სასწავლებელი გახსნეს. ამ ყველაფრის თავი და თავი საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოება „მინარა“ სასულიერო სასწავლებლებსა და შეიქმნა „მედრესე“ ენოლოგია სწორედ ისინი ხსნიან.

კვიციანის თქმით, ამ გოგონებს ინეგოლში ტრადიციული ვახშით გაუმასპინძლდნენ და ექსკურსიებზეც წაიყვანეს. პომპეზურად აღნიშნეს მათი „ჰაფიზებად“ მონათვლა.

აქვე, მინდა გავისწავლო რამდენიმე თვის წინანდელი შემთხვევა: თურქეთში გამოფენები ტარდებოდა, სადაც ის ქართველი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც ისლამი მიიღეს. მათ თავიანთი ქვეყანა ძალიან ცუდ კონტექსტში მოიხსნიეს — განაცხადეს, რომ საქართველოში მუსლიმები ძალიან დიდ დევნასა და შევიწროებას განიცდიან. ვფიქრობ, მსგავსი თემებით მანიპულირება კარგს ვერაფერს მოგვცის — აღნიშნა „ტაბლო-იტთან“ ინტერვიუში რომან კვიციანმა.

იხ. 4 გვ.

## ახლო აღმოსავლეთი

# სირიის დედაქალაქში მყოფი სამართლებრივი მოქალაქეები დახმარებას ითხოვენ

სირიის დედაქალაქში მყოფი 22 ქართველი მოქალაქე საომარი ზონის დატოვებას ვერ ახერხებენ. როგორც რიბა ნალბადიანი აცხადებს, სწორედ ეს მათ აფეთქებების სმა და ქვეყნის დატოვება სურთ, თუმცა საზღვრები ჩაკეტილია.

— თუ ერთი საათით მაინც მოხდება საზღვრის გახსნა, ბეირუთში გადავალთ, საიდანაც სტამბულში გავეფრინდებით, — აცხადებს ნალბადიანი.

კიდევ ერთ პრობლემად მოქალაქეები უსახსრობას ასახელებენ. მათი ინფორმაციით, სირიის ეროვნული ვალუტით მხოლოდ ბეირუთამდე ჩასვლას შეძლებენ.

— ქვეყანაში დოლარი არ არის და ვერ ვახერხებთ, რის გამოც თვითმფრინავის ბილეთებზე პრობლემები შეგვექმნება. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ძალიან გვინდა წამოსვლა, — აცხადებენ მოქალაქეები.

ეგვიპტეში საქართველოს კონსულის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნამორაშვილი კი განმარტავს, რომ აღნიშნული მოქალაქეები საკონსულლო აღრიცხვაზე არ დგებიან.

— თუმცა, ჩვენ მათ უკვე ვესაუბრეთ და მივეცით რეკომენდაცია, დაუყოვნებლივ გაემგზავრონ ლიბანის საზღვრისკენ, გადავიდნენ ბეირუთში, საიდანაც სამშობლოში დაბრუნებას შეძლებენ. ჩვენ



მათთან მუდმივ კონტაქტზე ვართ და გავეწვევთ ყველა სახის დახმარებას, რაც საჭირო იქნება. თუმცა, რამდენიმე მათგანი სირიაში არსებულ ვითარებას საგანგაშოდ არ მიიჩნევს და დამასკოს დატოვების საჭიროებას ვერ ხედავს, — აღნიშნა ნამორაშვილმა.

ინტერვიუ



გამოსაშვება

ამ გამოსაშვების სათაური ბრტყალეში იმიტომ ჩავსვი, რომ იგი მე კი არა, დიდ ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. გამოსაშვების დაწერა კი ბატონ გიორგი გოგოლაშვილის სტატიის - „დედაენა და უცხო ენანი“ - ნაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე. („სრ“, 2013 წ. 27 აგვისტო).

ბატონ გიორგი გოგოლაშვილის მიმართ ღრმა პატივისცემით ვარ განწყობილი მისი პატრიოტული და მოქალაქეობრივი პოზიციის გამო. სავსებით ვეთანხმები მას იმაში, რომ ნაცებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, საერთოდ, ზნეობას, რაც განათლებულ ლომია-შაშკინის „დივერსიული რეფორმის“ საშუალებით განხორციელდა.

ბატონი გიორგი იმაშიც მართალია, რომ მათ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო გარდაქმნები მეცნიერულად უზრუნველყოფილი არ იყო, ბევრი რამ ვოლუნტარისტულად წყდებოდა. მაგალითად, 5 წლის ასაკში სწავლების დაწყება, მართლაც, ერთი კაცის ახირებაა. აქვს თუ არა ხუთი წლის ბავშვს სწავლისათვის მზაობა, ამის თაობაზე არავითარი ფსიქო-პედაგოგიკური დასკვნა არ არსებობს და ამ „იდეის“ განხორციელება დიდი საფრთხის შემცველია.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ამ ღვთისპირიდან გადავარდნილი ნაცების კრიტიკისას სიფრთხილესა საჭირო, რათა ჩვენ თვითონ არ მოგვივიდეს იაღლიში, თორემ მერე ბავშვადლო სიმართლესაც აღარ დაგვიჯერებენ.

და შაშკინს უთქვამს, საბჭოთა პერიოდში ქართულ სკოლებში რუსული ენა პირველი კლასიდან ისწავლებოდა. ბატონ გიორგის, სწორედ, იაღლიში მოუვიდა, როცა ამის თქმისათვის შაშკინი დილექტანტიზმსა და არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა. მინისტრი შაშკინი განათლების დარგში სრულიად არაპროფესიონალია, მაგრამ რუსული ენა რომელ კლასში ისწავლებოდა, ამის შესახებ, ბატონი გიორგისაგან განსხვავებით, ინფორმირებული ყოფილა.

ჩემი და ბატონ გიორგის თაობა მეორე კლასიდან იწყებდა რუსული ენის შესწავლას, მაგრამ ბოლო პერიოდში მდგომარეობა შეიცვალა: 80-იან წლებში რუსული ენის სწავლება პირველი კლასიდან დაიწყო. ეს არ იყო „იმპერიული ახირება“, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. უცხოური ენის (რუსული ენა ქართველთათვის უცხოურია!) სწავლების დაწყება პირველ კლასში, ფსიქოლოგიის მეცნიერების დასკვნებსა და საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება. კერძოდ, ფსიქოლოგიაში საყოველთაოდ ცნობილია სწავლების (აგრეთვე სწავლის) სენზიტიურობის (ყველაზე უფრო ხელსაყრელი) პერიოდები. ბავშვისათვის მეტყველების დაუფლების სენზიტიურობა წლინახევრიდან სამ

წლამდე. ოთხი წლის ნორმალური განვითარების ბავშვმა სრულყოფილად იცის მშობლიური ენა (ენის სრულყოფილი ცოდნა კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანს საკუთარი აზრის სრულყოფილად გადმოცემა შეუძლია!). ენის შესწავლის სენზიტიურობის პერიოდი მეტყველების დაუფლების პერიოდს ემთხვევა და ასაკის მატებასთან ერთად სუსტდება. რა თქმა უნდა, უცხოური ენა შეიძლება 30-40 წლისა და უფრო სოლიდურ ასაკშიც შეისწავლოს კაცმა, მაგრამ ისე ადვილად და სრულყოფილად მას ვერ დაეუფლება, როგორც ამას 5-6 წლის ასაკში მოახერხებს ბავშვი, ამის მაგალითია ძველი თბილისის უბნებში გაზრდილი ადამიანები, რომლებმაც 3-4 ენა მშობლიურივით იცოდნენ.

უდავოდ დადგენილია, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში დაიწყება უცხოური ენის შესწავლა, მით უფრო ეფექტურია იგი. რა თქმა უნდა, მართლაც ბრძანებდა დიდი იაკობი: „ბავშვმა მას უკან უნდა დაიწყო უცხო ენის შესწავლა, როცა კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-ენა“ და საერთოდ დედაენის შესახებ ი. გოგებაშვილის ყველა მოსაზრებას ჭეშმარიტია: დედაენა ნამდვილად არის „ბურჯი ეროვნებისა“, მაგრამ რა შუაშია აქ უცხოური ენის სწავლების პედაგოგიური პრობლემები?

ბატონი გიორგი დაასკვნის: „ყოველად დაუშვებელია პირველ კლასში დედაენის ხარჯზე (მასთან ერთად) უცხო ენის სწავლება“. რა თქმა უნდა, დედაენის ხარჯზე არც უცხო ენა უნდა ასწავლო და არც მათემატიკა თუ ფიზიკა, მაგრამ „ხარჯზე“ და „მასთან ერთად“ ერთი და იგივე არ არის. როდესაც რუსული ენის სწავლება პირველ კლასში გადაიტანეს, ამას თან მოჰყვა მეთოდოლოგიური მითითება: სწავლების შინაარსი მოიცავდა ლექსიკის ათვისებას ენის სწავლების გარეშე; ბავშვი ვიდრე მშობლიური ასოების წერას მყარად არ აითვისებს, განსხვავებული ალფაბეტის წერის სწავლება მიზანშეწონილი არ არის.

არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში „უცხოური ენის სწავლება“ და „სწავლების ენა“. ქართულ სკოლაში რამდენი ენა უნდა ვასწავლოთ, იგი მშობლიურ ენას ვერც შეცვლის და ვერც დააზიანებს, რადგანაც სწავლების ენა ქართულია, ანუ რუსული თუ ინგლისური ქართულ ენაზე ისწავლება!

ენის სწავლების პედაგოგიურ პრობლემებზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ „რეპლიკა“ მეტის საშუალებას არ იძლევა.

ზურაბ ცუცქერიძე.

„მეცნიერება და პაპულიზმი“



და „მასთან ერთად“ ერთი და იგივე არ არის. როდესაც რუსული ენის სწავლება პირველ კლასში გადაიტანეს, ამას თან მოჰყვა მეთოდოლოგიური მითითება: სწავლების შინაარსი მოიცავდა ლექსიკის ათვისებას ენის სწავლების გარეშე; ბავშვი ვიდრე მშობლიური ასოების წერას მყარად არ აითვისებს, განსხვავებული ალფაბეტის წერის სწავლება მიზანშეწონილი არ არის.

რელიგიური ნიღაბი შუღლის გაღვივების მცდელობა

(მერი ბეგრდიანი) ის, რაც ახლახან სოფელ ჭელაში მოხდა, ზემოთ ხსენებულ ადამიანებს კიდევ უფრო ალაპარაკებს იმის თაობაზე, რომ ქართველი მუსლიმები აქ თურმე იდეენებიან!... რა თქმა უნდა, სჯობდა, ყველაფერი მშვიდობიანად, ძალის გამოუყენებლად მოგვარებულიყო, მაგრამ ფაქტია, რომ მინარეთის დემონტაჟმა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორი ვითარება გააძაბა. ამ ფაქტს საქართველოს საპატრიარქო სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა. ტექსტი მედიას საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ გააცნო:

„ადიგნის რაიონის სოფელ ჭელაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული ზოგიერთი განცხადება გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ ძალებს სურთ ეს მოვლენა რელიგიური გრძობების შეურაცხყოფად, მუსლიმთა უფლებების დარღვევად წარმოაჩინოს და ამ განწყობას უღვივებენ ისლამის მიმდევარ უბრალო ხალხსაც“ - აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

„მიემართავთ ჩვენს სისხლსა და სორცს, სოფელ ჭელას მუსლიმ ქართველებს, საქართველოს სხვა სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს და არაქართველ მუსლიმებს, ჩვენ იმ ქვეყნის შეილები ვართ, სადაც საუკუნეების წინაც კი, როდესაც ჩვენი ერი სხვადასხვა ისლამური ქვეყნების შემოსევებს უმკლავდებოდა, საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანებზე ეს არ ისახებოდა და ისინი ასეთ დროსაც კი შევიწროვებდნენ არ განიცდიდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ურთიერთობა დღეს უფრო მაღალ საფეხურზეა

თხუთმეტა ბათუბაღა გოგონა ისლამი მიიღო

ასული და ამ დამოკიდებულებას ყველა უნდა გავუფრთხილდეთ“.

„ის კი, რაც ამჟამად ხდება, არის რელიგიური ნიადაგზე შუღლის გაღვივების მცდელობა, დაახლოებით მსგავსი იმ პროცესებს, რაც, რაც სურდათ განვივითარებინათ ნიგეზიანში, წინწყაროსა და სამთავაროში. ამ ძალის მიზანია, როგორმე დააბირისპიროს ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა. ამით კი ეკლესიისა და სახელმწიფოს დისკრედიტაცია მოახდინოს და ამ ფონზე თავისი მიზნები განახორციელოს. ვინც ამ მოვლენებს თავალყურს ადევნებს, შეუძლებელია ეს არ დაინახოს. თხოვნით მივმართავთ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა სულიერ ლიდერებს, ხელი კი არ შეუწყონ, არამედ შეენიანაღმდეგონ პროვოკაციულ ქმედებებს, როგორც ადიგნში, ისე საქართველოს ნებისმიერ კუთხეში.“

დღეს თქვენზე დამოკიდებული, როგორი იქნება თქვენი სამწყსოს პოზიცია კანონის, სახელმწიფოებრივი ინტერესების და, რა თქმა უნდა, რელიგიური გრძობების დაცვის საკითხში. ჩვენ ჩვენს მზრივ ყოველთვის ვცდილობდით და კვლავაც ძალისხმევას არ მოვაკ

ლებთ, რათა ის კეთილი დამოკიდებულება, რაც გვაქვს საქართველოში მყოფ მუსლიმ რელიგიურ ლიდერებთან და მოსახლეობასთან, ასევე, ჩვენს მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებთან და მათ სულიერ ლიდერებთან, განვამტკიცოთ. ამისთვის კი ერთადერთი წინაპირობა მიგვაჩნია, მომხდარის რეალური მიზეზების სასწრაფოდ დადგენა, უკანონო ქმედებების ჩამოშორება, ვითარების გამწვავებით დაინტერესებულ პირთა გამოვლენა, ამასთან, სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომ ყველამ იცოდეს თავისი ქმედებების ზღვარი, რათა არ მოხდეს რელიგიური ნიადაგზე დაბირისპირების ესკალაცია.“

სწორედ ამაზე ამასვილებს ყურადღებას რუსი პოლიტოლოგი, ვიტალი არკოვი. პოლიტოლოგი „ინტერვიუში საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებზე საუბრობს და აჭარის რეგიონს განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. მისი თქმით, „ხელისუფლება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემებზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ აჭარაზე. ქართული ხელისუფლების ადგილას, ანდა, არ გავამახვილებდი ყურადღებას



აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, არამედ ძალიან სერიოზულად დავინტერესდებოდი აჭარაში არსებული სიტუაციით. ამ ტერიტორიაზე რადიკალი ისლამისტების ჯგუფები ძალას იკრებენ და უახლოეს მომავალში აჭარა შეიძლება კავკასიის ახალ, ცხელ წერტილად იქცეს.“

აჭარა შეიძლება საქართველოს საბოლოოდ არ გამოეცოს, მაგრამ ისლამისტი ლიდერები თბილისთან ულტიმატუმის სახით საუბარს ცდილობენ.

თუ ქართული ძალოვანები ძალის გამოყენებას გადაწყვიტენ, სიტუაციაში მეზობელი თურქეთი აქტიურად ჩაერევა და ეს ყველაფერი რა შედეგს მოიტანს, ალბათ რთული წარმოსადგენი არ არის“, - განაცხადა არკოვი.

ყურადღაღები განცხადებაა, რადგან სხეულზე საფრთხე არ არის გამოცხადებული, და აჭარაში რელიგიური ნიადაგზე არსებულ დამაბულობა შესაძლოა, მართლაც, მავანმა მშვენივრად გამოიყენოს. და გამოირიცხული არ არის, საქართველო მორიგ კონფლიქტში ჩაითიროს, მით უფრო, რომ პროვოკაციაზე წამოგების „მშვენიერი“ გამოცდილებები წინ გვიდგას.

ამ ფონზე მისასაღებელია ანკარაში ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საქციელი. მინისტრი ახლო აღმოსავლეთში ყველაზე დიდ ქოჯატეპეს მეჩეთს ეწვია. მეჩეთში ირაკლი ღარიბაშვილს იმაში შეხვდა. იმამმა სპეციალურად მისთვის ლოცვა აღავლინა და მინისტრს საპატიო სტუმრის სტატუსით მივლინა დაათვალიერებინა და მინარეთზე აიყვანა.

ნათა ნიკლაძე

# გლოზუსი

5-6 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში „დიდი ოცულის“ სამიტი გაიმართება. ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მით უმეტეს ახლა, როდესაც მსოფლიოში საფინანსო და ეკონომიკური ვითარება სავალალო მდგომარეობაშია. კრიზისი იგრძნობა ყველგან – აშშ-დან დაწყებული, ნებისმიერი დიდი თუ პატარა ქვეყნით დამთავრებული.

მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები და ფინანსისტები შორსმიმავალი პროგნოზებისგან თავს იკავებენ, რაც იმის მაჟორიტარულია, რომ მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური პროცესები ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზირებას და განპირობებულია როგორც პოლიტიკური, ისე სხვადასხვა სახის ქმედებით, გაუმართლებელი სამხედრო ხარჯებით, ხშირ შემთხვევაში მის მიმართ ხელშეწყობით, ავანტიურისტული გეგმების განხორციელებით და ა.შ.

სანკტ-პეტერბურგის სამიტის 2 დღე, აბურდულ საფინანსო-ეკონომიკურ ცხოვრებას ვერ დააღაგებს, ვერც პეტრე პარველის დროს აშენებული და ვლადიმერ პუტინის გარემონტებული, გათანამედროვეებული ალექსანდრეს სასახლის ფეხენებელი ინტერიერ-ექსტერიერი შესარულებს გადაწვევტ როლს ამ საქმის მოწესრიგებაში, მაგრამ უდავოდ ხელს შეუწყობს გარკვეული ნაბიჯების გადადგმას უკეთესი მსოფლიოსკენ.

შეხვედრის მონაწილე 20 სახელმწიფოს ლიდერს და მათთან ერთად მინველ სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ექნებათ, სანკტ-პეტერბურგიდან დაშორებით, მშვიდ, წყნარ ადგილზე, სუპერ პირობებში, კონცენტრაცია მოახდინონ მთელ რიგ საკითხებზე – ეკონომიკიდან დაწყებული, პოლიტიკით დამთავრებული.

სამიტისთვის შექმნილი გარემო, ის, რაც ექსკლუზიურად აჩვენებს ტელეკომპანია „როსია-24“-ის ეთერში, ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს. საერთოდ, მსგავსი სამიტის ადგილის ზედმინვენიტი ჩვენება ტელეეკრანებზე – უსაფრთხოების მიზნით, რეკომენდებული არ არის. ის რამდენიმე წუთი, რაც რუსულმა ტელეარხებმა დაუთმეს სამიტის ადგილის ჩვენებას, გარკვეულ დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ამ ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებისთვის. როგორც ჩანს G-20-ს თავმჯდომარე რუსეთმა ერთი წლის განმავლობაში არა მარტო ტექნიკურ მხარეზე იზრუნა (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია), არამედ შინა-არსობრივზეც – სამიტის დღის წესრიგისა და განსახილველი თემების სახით.

სამიტის თავმჯდომარე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იქნება.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სამიტის მასპინძლის გუნდმა განწმინდეს ღონისძიების დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სამიტამდე, 3-4 სექტემბერს, რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტების მოსკოვის შესხვედრა-მოლაპარაკებას.

სამშუბაროდ, ორი დიდ სახელმწიფოს შორის, შავი კატის – სნოუდენის გარბენამ უარი ათქმევინა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას პუტინთან შესხვედრაზე. რუსეთის მიერ სნოუდენის შეფარებამ განაწყნა ვაშინგტონი და ხელი ააღებინა ორი პრეზიდენტის ორი თვის წინათ დაგეგმილ გადაწყვეტილებას.

საერთაშორისო პოზიციების გასამყარებლად (მარტო სნოუდენი რომ არ ყოფილიყო შეხვედრის ჩაშლის მთავარი მიზეზი) თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ განაცხადა: „ივლისიდან დაწყებული გულმოდგინედ გავაანალიზებთ რა, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები, იმ დასკვნამდე მივდებით, რომ ორ ქვეყანას შორის არსებულ დღის წესრიგში არ არის პროგრესი, მოლაპარაკებების გასამართავად“.

კატეგორიული იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის მოადგილის ბენ როდისის განცხადება: „პრეზიდენტი და ეროვნული უსაფრთხოების ჯგუფის მრჩეველები ერთმანედ ვთვლით, რომ უმაღლეს დონეზე შესხვედრის ამ ვითარებაში აზრი არ აქვს“.

ამერიკელთა იმედგაცრუებას შემდეგი საკითხები იწვევს: შეუთანხმებლობა ევროპაში რაკეტა-წინააღმდეგო სისტემების განლაგებასთან დაკავშირებით, სტრატეგიული იარაღის არსენალის შემცირების, სირიის კრიზისის, რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევის, ირანის ბირთვული პროგრამის საკითხები.

ადამიანის უფლებებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება რუსეთის დუშის მიერ მიღებული კანონი, რომელიც კრძალავს გეი-პროპაგანდას. რუსეთის ხელისუფლება გამოადის კერპტი კაკალი, რომელიც ვერა და ვერ გატეხა ვაშინგტონმა. ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამ 15-ზე მეტი ქვეყანა მოიცვა და, როგორც ჩანს, წლის ბოლომდე რიცხვი გაორმაგდება. რუსეთის ხელისუფლება ხმალამოლებული იბრძვის ამ არანორმალურობის წინააღმდეგ და ნაცვლად იმისა, მადლობა მიიღოს დასავლეთის მხრიდან, პირიქით ზღვარგადასულ საყვედურებს იღებს, თანაც საბოტაჟის მოწინააღმდეგეა და ა.შ.

ანტირუსულ კამპანიას თვით აშშ-ის პრეზიდენტი დირიჟორობს. დასავლეთი არადემოკრატიულს

უნოდებს ყველას, ვინც გაუკუღმართებული ცხოვრების წესის წინააღმდეგია. დასავლეთი დემოკრატიულად მიიჩნევს ყველას, ვინც გეი-ქორწინებას დააკანონებს. დასავლეთის სტანდარტებით – დემოკრატია სწორედ ისაა, რასაც ის ქადაგებს. სხვა, ან სხვათა დემოკრატია მიუღებელია.

„მოსკოვი დღემდე „ცივი ომის“ მენტალიტეტის მოტრფიალეა“, – აცხადებს აშშ-ის პრეზიდენტი და ამაში გულსხმობს მოსკოვის განსხვავებულ აზრს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებში და, რაც მთავარია, მამათ და დედათმავლობაში. მაინც რა მახვილი გონება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მმართველს, თანაც როგორის, მსოფლიო პოლიტიკა საჯდომის, უფრო სწორად, ანაღური არხის დონეზე დაიყვანოს.

თვით ვაშინგტონი მზად არ არის ზემოთ ჩამოთვლილი საჭირობოტო საკითხების მოსაწესრიგებლად.

ავილოთ სირია. ორი წელია ამ ქვეყანაში გაქანებული ომი, რომელსაც სამოქალაქო უკვე აღარ ჰქვია, ვინაიდან ბაშარ ასადის წინააღმდეგ ვინ არ

სალები და ცნობილი გახდა ის, რაც ყველამ იცოდა – ირანში სახელმწიფო გადატრიალება აშშ-ის ცს-მ დაგეგმა, განახორციელა და ქვეყნის მმართველად ისევ შაპი რეზა ფეჰლვეი დასვა.

დღეს, ამის გაკეთება აშშ-ს გაუჭირდება, მაგრამ სახელმწიფო სისტემის შესაცვლელად, ანუ გადასტრიალებლად სხვა გზებიც არსებობს. მაგალითად, ქვეყნის მოსახლეობის ამხედრება საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი დაშობა და დამჯერი ხელისუფლების დანიშვნა.

**მოსახლეობის ასახვედრებლად გამოყენებულია ეკონომიკური სანქციები, რომლებიც აშშ-მა 4-ჯერ შემოაღებინა გაეროს უშიშროების საბჭოს. გარდა ამისა, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა დამატებითი სანქციები შემოიღეს, რომლებმაც ირანელთა ცხოვრება გააუარესა.**

ირანის ეკონომიკა კრიზისს განიცდის. დასავლური ინფორმაციის მიხედვით – ინფლაცია 36%-ია, ფასები 55%-ით არის გაზრდილი, ნავთობიდან შემოსავალი 65%-მდე არის დაწეული, უმუშევრობა 12%-ია. და ყველაფერი ეს მხოლოდ იმის

# აპერიკის ფიცი ძნელი დასაჯერებელია



იბრძვის – „ალ-ქაიდა“, სალაფიტები, ათასი ჯურის ტერორისტები, რომლებსაც მხარს უჭერენ ვაშინგტონი და მისი ევროპული მოკავშირეები – იარალით, ფულით, ინფორმაციით და ა.შ. ბაშარ ასადის წინააღმდეგ ამხედრებულ ქვეყნებს არა სირიელი ხალხის ბედობალი, არამედ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. და რასან ამ ინტერესთა წინააღმდეგ გამოდიან რუსეთი, ირანი, ჩინეთი, ისინი სირიის საკითხში ცდებიან.

რასანია დასავლეთი ცდილობს ისეთი საბაბის მოძებნას, რომელიც ხელს გაუხსნიდა მას ინტერენციის განხორციელებაში. ერთ-ერთი ასეთი საბაბი – ხელისუფლების მიერ ამბოხებულთა წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებაა. სულ ახლახანს, ამბოხებულებმა ინტერნეტში გაავრცელეს დაზარალებულთა ვიდეო-კადრები, რომლებიც ვითოობ ბაშარ ასადის ქიმიური თავდასხმის მსვერპლნი გახდნენ.

**და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც სირიის ხელისუფლების თანხმობით ქვეყანაში გაეროს სპეცოპერაცია მუშაობს იმის დაზადგნად, თუ ვინ გამოიყენა ქიმიური იარაღი წინააღმდეგეაში. ქვეყანაში მხოლოდ ტყვიანად გადასული ხელისუფლება გამოიყენება ქიმიურ იარაღს მაშინ, როდესაც საგამომიერო კომისიაა.**

**ბაშარ ასადის გადადგომა რასანია მოითხოვა ობამამ, ვკნებ დაუფიქრებლად, ვინაიდან ასადის წახვლა უფრო დიდი ქაოსის და რაც მთავარია, ომის სხვა ქვეყნებზე გავრცელების საბაბი გახდება. ამ პოზიციას იზიარებს რუსეთი.**

მეორე შეუთანხმებლობა საკითხი ირანის ბირთვული პროგრამაა. ირანი აკეთებს იმას, რაც საერთაშორისო სამართლით დაშვებულია. მას უფლება აქვს გაამდიდროს ურანი 20%-მდე. გამდიდრებულ ურანს ირანი იყენებს მედიცინაში, სამეცნიერო კვლევებში, ენერგეტიკაში და ა.შ.

35 წლის განმავლობაში ირანი აშშ-ისგან და მოუკიდებელი მოთამაშეა. რომ არა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ორგანიზებული გადატრიალება, გასული საუკუნის 50-იან წლებში, პრემიერ-მინისტრ მოსადეკის წინააღმდეგ, რომელმაც ამერიკულ ინგლისური ტრანსნაციონალური ნავთობის კომპანიები აიძულა, დაეტოვებინათ ირანი, ეს ქვეყანა სხვანაირად განვითარდებოდა და დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე იქნებოდა.

აშშ-მა დაამუხრუჭა მისი განვითარება. ამას წინათ გაიხსნა იმჟანინდელი ცს-ს საიდუმლო მა-

თვის, რომ თერანი ვაშინგტონს არ ემორჩილება. ბირთვული პროგრამა ამ შემთხვევაში მხოლოდ საბაბია. მსოფლიოში არსებობენ ქვეყნები (პაკისტანი, ჩრდილო კორეა), რომლებსაც უკვე აქვთ ბირთვული იარაღი, მაგრამ ამაზე აშშ ისტერიკაში არ ვარდება.

**ირანი სხვა – ახლო აღმოსავლეთის გაგლნიანი ქვეყანა, სირიის მეგობარი, ისლამის დამცველი, ტრადიციების მატარებელი. მას საკუთარი პოზიცია აქვს, რაც არა მარტო არაბულ სახელმწიფოებს სიბლავს, არამედ სხვადასხვა. ირანი თავისი ათასწლიანი ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით, წარმატებული სოფლის მეურნეობით, მრეწველობით, მედიცინით და ა.შ. რეგიონის ლიდერია, რაც გულზე არ ენატება არც აშშ-ს, არც თურქეთს, არც საუფლის არაბებს, არც ისრაელს.**

აშშ-ისა და რუსეთის პოზიციები მკვეთრად განსხვავდება ირანის საკითხში. რუსეთი წინააღმდეგია ახალი სანქციების შემოღების, მით უმეტეს ირანის კვლევითი ლაბორატორიების საპაერო იერიშით განადგურებას. ის დიპლომატიის მომხრეა.

**ირანის მდგომარეობა გაცილებით მეტად იქნება, რომ რუსეთი მუდამ მყარ პოზიციებზე მდგარიყო, რომ რუსეთს მხარი არ დაეჭირა უშიშროების საბჭოს სანქციებისთვის და ა.შ. ცხადია, რუსეთისთვის არცთუ სასარბიელია ბირთვული იარაღის სამწრეთის მეზობელი, მაგრამ გაცილებით მიუღებელი უნდა იყოს აშშ-ის დამჯერი, მის უღელში მოქცეული ირანი. რუსეთს მტკიცე მოკავშირეები სჭირდება და არა მერყეობი, რომელთა არადგნობა დსთ-შია ვრთი და ორი არ არის.**

საკამათო საკითხთა შორის – ევროპაში რაკეტა-წინააღმდეგო სისტემების განლაგებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. რუსეთი თვლის, თუ ამერიკისთვის და მისი ევროპული მოკავშირეებისთვის სისტემის განლაგება მშვიდობის გარანტიაა, ის მოსკოვისთვისაც უნდა იყოს ამდგავარი. მოსკოვი ითხოვს აშშ-ის ოფიციალურ დოკუმენტს, რომელშიც ჩაიწერება, რომ სისტემა არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. ვაშინგტონს არ სურს ასეთი დოკუმენტის შექმნა – ჩემს სიტყვას ენდეთო, ეუბნება მოსკოვს.

**მოსკოვი კი თვლის, რომ ამერიკელთა სიტყვას არ დაეჯერება და ბევრი მაგალითი მოჰყავს, მათ შორის გამორჩეულია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. ამერიკა-საბჭოთა დელეგაციების მოლაპარაკების არაერთ რაუნდზე, რომელმაც ბერლინის კედელიც დაანგრია და ვარშაგის პაქტიც,**

**იყო სიტყვიერი შეთანხმება, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს ნატოში არ გაანგვრებდნენ. აშშ-ში შეიცვალა ადმინისტრაციები, მოადგნენ ახალი პოლიტიკოსები, რომლებსაც „აღარ ახსოვთ“ მათი წინაპრების ვერბალური დანაბრები. „როდის იყო ასეთი? დოკუმენტი სად არისო?“, – ვითომ გაოცებულნი აცხადებენ უტყხადა. ოფიციალურად, რაკეტა-წინააღმდეგო სისტემა ირანისა და ჩრდილო კორეის რაკეტებისგან დაცავს ევროპას, მაგრამ სინამდვილეში რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. ირანს და ჩრდილო კორეას არ აქვთ შორსმდგომი რაკეტები და უახლოეს პერიოდში არც ექნებათ. გარდა ამისა, ევროპა არ არის მათი სამიზნე.**

მარტივი ლოგიკით, სისტემა რუსეთის რაკეტების წინააღმდეგაა მიმართული, ანუ ვერც ერთი რუსული რაკეტა მიზანს ვერ მიაღწევს. ისინი ჰაერშივე განეიტრალებდა, ხოლო რაც შეეხება რუსეთზე საპასუხო დარტყმას მომავალდინებები იქნება.

უფრო მომავალდინებელი იქნება იმის აღიარება, რომ რაკეტებით რუსეთი ვერაფერს გახდება, რაც თავისთავად დაარღვევს სამხედრო ბალანსს ორ ქვეყანას შორის, აშშ-ის სასარგებლოდ. იგრძნობს რა თავის უპირატესობას, აშშ ხელეობის გრეხას დაუნყებს რუსეთს, რასაც დიდი ომი შეიძლება მოჰყვას.

ბირთვული იარაღის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო მშვიდობას – რომ არა ბირთვული ბომბის შიში, ვინ იცის რამდენჯერ შეესკვებოდნენ ერთმანეთს დიდი სახელმწიფოები.

პოტსდამის კონფერენციის მსვლელობის დროს 1945 წლის 16 ივლისს აშშ-მა პირველი ბირთვული ბომბი გამოიყენა. აშშ პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი გადაცვიცებით ელოდნენ ცნობას ამერიკიდან. და როდესაც ჩერჩილმა შემდეგი შინაარსის შიფროგრამა მიიღო – „**პატარები უბრობლემოდ დაიბადნენ**“, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

**„იმავედროულად გაჩნდა პრობლემა, როგორ გვეთქვა სტალინისთვის. ტრუმენი და მე აღარ ვთვლიდით აუცილებლად რუსეთის დახმარებას იაბონის დამარცხებაში. ეს შეთანხმება იალტაში მივიღეთ და სტალინმა უკვე მისში დაიწყო ჯერების გადაყვანა აღმოსავლეთში, იაბონისთან ომის სანარმობლად.**

**ჩვენ ვთვლიდით, რომ სტალინს უკვე აღარ ჰქონდა ხელთ ის კოზირი, რომლითაც მანვერირებდა იალტის კონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, ის იყო შესანიშნავი მოკავშირე ბიტლერის წინააღმდეგ ომში და ამდენად ორივე ვთვლიდით, რომ სტალინი საქმის კურსში უნდა ჩაგვეყვანებინა. გვიმუშავებ რამდენიმე ვარიანტი და ბოლოს ერთ-ერთი ავირჩიეთ – სტალინს შემდეგ, ტრუმენს მივიღოდა მასთან და ეტყოდა ბომბის აფეთქების შესახებ.**

**ასეც მოხდა, ტრუმენი თარჯიმანთა ერთად გაემართა მისკენ. მე სულ ახლოს ვიდექი და ვაკვირებდით სტალინის სახეს, რომელმაც შეინარუნა დიმილი და კეთილგანწყობა. ორი ლიდერის ლაპარაკი ხანმოკლე იყო. როდესაც ვკითხე ტრუმენს, რა უპასუხა სტალინმა, ტრუმენმა თქვა – მას არ დაუხვამს არც ერთი კითხვა.**

**ტრუმენის ნათქვამმა განმეიტკიცა მოსაზრება, რომ სტალინი გაგებაში არ იყო მსგავსი იარაღის შესაძლებლობაში, რომ მან არაფერი იცოდა ბრიტანელი და ამერიკელი მეცნიერების მრავალწინაი მუშაობის თაობაზე**“, – იკონებს უინსტონ ჩერჩილი.

შეცდა უინსტონ ჩერჩილი. თავის რეზიდენციაში დაბრუნებისთანავე, სტალინმა მოითხოვა კურჩატოვთან დაკავშირება, რომელსაც ჰკითხა, თუ როდის აპირებდა ატომური ბომბის გამოცდას, – წერს ანდრია გრომიკო თავის მოგონებებში.

ეს ისტორიული მომენტი იმიტომ გავიხსენე, რომ მიუხედავად მოკავშირეთა გულმობილი, კეთილი განწყობისა ერთმანეთის მიმართ, მიუხედავად საერთო იდეალებსა, ინგლის-ამერიკა საბჭოთა კავშირს მაინც მოწინააღმდეგედა აღიქვამდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ომის მსვლელობის განმავლობაში რაღაცას მაინც ეტყოდნენ სტალინს ბომბზე მუშაობასთან დაკავშირებით.

ერთმანეთისადმი უნდობლობა 1945 წლის მარტისთანავე გაჩნდა და დღემდე გრძელდება და რომ არა ბირთვული პარიტეტი, საკითხავია, როგორი იქნებოდა მსოფლიო. ასე რომ, ვაშინგტონის ფიცი, რაკეტა-წინააღმდეგო სისტემა არ არის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, ძნელი დასაჯერებელია.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მსოფლიო მშვიდობისთვის, მათ გადაჭრა ესაჭიროებათ და არა ბუტიანობა, მით უმეტეს სანკტ-პეტერბურგის სამიტს მაინც მოუწევს ამ თემებზე მსჯელობა, იმის მიუხედავად, სურს თუ არა ეს ამერიკის პრეზიდენტს.

**სამილტ ჟიპაპევილი, პოლიტოლოგი.**



# ჩვენი სვე-ბელი ჩვენს ხელთაა

მოსწი და მე ძალიან დიდხანს ვსაუბრობდი და მაშინ პირველად მოვისმინე ჭეშმარიტი ბედნიერების ათი მუღამის შესახებ. მისი წყალობით საუცხოო ადამიანები გავიცანი, ვინც გამოიზარა ეს მუღამები და დამეხმარნენ გამემდიდრებინა ჩემი ცხოვრება. მაგრამ ერთი მუღამი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. ეს იყო... ბოძების უნარის მუღამი.

წარმოუდგენლად მეჩვენება თავად აზრი, რომ იმას, რისკენაც ჩვენ ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მივისწრაფვით — ბედნიერებას, — ყველაზე იოლად მივალნევთ, როდესაც... მას სხვას ვუბოძებთ. ეს ბუნების ერთ-ერთი ყველაზე სასწაულებრივი კანონია — რაც მეტს გასცემ, მით მეტს ღებულად. თითქოს თესლს თესდე, ვინაიდან მინაში ჩაფლული ყოველი მარცვლიდან ათასობით ხორბალი გამოდის.

— მაგრამ როგორ შეიძლება გასცე ის, რაც არა გაქვს? — შეეკითხა ახალგაზრდა.

მისტერ ტენსუორტმა გაიღიმა.

— ესაა მთელი ხიბლი! — წამოიძახა მან. — შეიძლება მიაღწიო ბედნიერებას, თუ ის სხვისთვის მიგაქვს. როდესაც მიგაქვს სიხარული, დაუყოვნებლივ თავადაც ბედნიერი ხდები. ეს სუნამოს ჰგავს.

— სუნამოს?

— ვერავის შეაშფეფებ მას, რამდენიმე შეხვე შენც რომ არ მოგხვდეს. გაიღიმა! თუ ვინმეს გაუღიმებ, პასუხად ისიც აუცილებლად გაიღიმებს. ბედნიერება ბუმერანგს ჰგავს — რაც ხშირად ისვრი, მით უფრო ხშირად გიბრუნდება უკან.

დარწმუნებული ვარ, შეგიძლიათ, გაიხსენოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც რაღაცას აკეთებდით სხვებისთვის რაიმე ფარული განზრახვის გარეშე. თუნაც წვრილმანს — გზააბნეულს გზა მიახსნავდით, დაეხმარეთ უსინათლოს ქუჩაში გადასვლაში, ანდა უბრალოდ მეგობრის დაბადების დღე გაგახსენდათ. უთხარიო ვინაცაა გულწრფელი კომპლიმენტი, გამოუხატეთ ალტაცება, ან გულით გადაუხადეთ მადლობა...

— დიას, რასაკვირველია, — თავი დაუქნია ახალგაზრდამ.

— განა ამან არ გამოიწვია თქვენში საუცხოო გრძნობა? არა იმიტომ, რომ ეს კაცი მადლობელია იმისთვის, რაც უთხარით ან გაუკეთეთ, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ სხვისთვის რაიმეს გაკეთება, დახმარება ადამიანისთვის — უბრალოდ სასიამოვნოა!

ახალგაზრდამ გაიხსენა ერთი შემთხვევა, რაც რამდენიმე წლის წინათ მოხდა, როდესაც მასთან ვიღაც უცხოელი ქალი მივიდა, ქალაქში გზა რომ აბნეოდა, და დახმარება სთხოვა. ადგილი, რომელიც ქალს სჭირდებოდა, თითქმის სამი კილომეტრის იქით იყო; შუაგული ზამთარი იდგა, მოდიოდა თოვლი და ქალი სიცვიით კანკალებდა. არანაირი შანსი არ იყო იმისა, რომ ის თავად მოძებნიდა გზას, მით უმეტეს ასეთ საშინელ ამინდში, ამიტომ მან წაიყვანა ის ქალი მანქანით იმ ადგილამდე, რომელსაც ეძებდა. ახლა, როდესაც ამ ამბავს იხსენებდა, გაახსენდა ისიც, თუ როგორ სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა მაშინ.

— გესმით, თავისი ბუნებით, სულის სიღრმეში ადამიანის არსება სულაც არ არის ეგოისტური. ჩვენ მზად ვართ სხვებისთვის გავაკეთოთ გაცილებით მეტი, ვიდრე საკუთარი თავისთვის. მაგალითად, მშობლების უმრავლესობა თავიანთ კომფორტს მსხვერპლად სწირავს ბავშვებისთვის.

მას შემდეგ, რაც მოხუცე ჩინელს ვესაუბრე, წავედი მალაზიაში სასაქონლოდ და დავინახე ხსნის არმიის გუნდი, რომელიც სააღდგომო ჰიმნებს გალობდა. იქვე იყო დიდი პლაკატი წარწერით: „დაეხმარეთ უსახლკაროებს ამ შობას“. სრულიად დაუფიქრებლად „როლეისი“ დავეზღვრე მალაზიას და ხუთი ათასდოლარიანი ქვეთარი გადავეცი ქალს ხსნის არმიიდან. იცით, არასოდეს დამავიწყდება იმ გაცემისა და მადლიერების გრძნობების შესახებ, მის სახეზე რომ აისახა. ის ქვეთარს თავის მეგობრებს უჩვენებდა, თან თვალებიდან ცრემლი სდიოდა. „ამ ფულით რამდენი რამის გაკეთება შეიძლება! — თქვა მან. — დიდი მადლობა თქვენ და ღმერთი შეგნით“. სწორედ მაშინ პირველად დავინეცი მოხუცის სიტყვებში ჩანდომბა, ვინაიდან როდესაც დავემშვიდობე ამ ფულს და ვიცოდი, რომ იგი თუნდაც რაღაც მცირე სარგებელს მოუტანდა სხვა ადამიანებს, მე მივიღე გაცილებით მეტი კმაყოფილება, ვიდრე ის საათი რომ მეტარებინა მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში.

მასხენდება, რამდენიმე წლის წინათ როგორ გვითხულობდით ერთ მამაკაცზე, რომელსაც ყველაზე ადრეული ასაკიდან უნდოდა ესწავლებინა თავისი შვილისთვის გაცემის სურვილის დიდი მნიშვნელობა. შვილის დაბადების დღეს, როდესაც ექვსი წელი შეუსრულდა, ბებიამ სხვადასხვა ფერის ჰელიუმით საესე ბუშტების მთელი ყვავილწული აჩუქა. დაბადების დღის ზეიმის შემდეგ მამამ შვილს ურჩია იდგა, რომ ბუშტებისგან ყველაზე დიდი კმაყოფილება შეიძლება მიიღოს... თუ მათ სხვებს დაურიგებს! არ არის საჭირო იმაზე საუბარი, რომ ეს წინადადება პატარას დიდად არ მოეწონა, მაგრამ მამა მას არწმუნებდა, რომ ეს არის ძალიან საშიშარული რამ, და ბავშვი, არცთუ დიდი კმაყოფილებით, დათანხმდა.

ისინი მოხუცთა თავშესაფარში წავიდნენ, და პატარა თავისი საპაეო ბუშტებით მიმოდიოდა სავარძლებს შორის და ჩუქნიდა თავის ბუშტებს ყველას, ვინც ოთახში იყო. მოულოდნელად ხალხმა დაიწყო გაღიმება, გაცხოველებული საუბარი, ერთი ხანდაზმული ქალი, ვისთანაც სამ

წელზე უფრო მეტი ხანია, არავინ ყოფილა, ისე ადგოდა, რომ ქვითინი აუვარდა. გეგონებოდა პატარამ რომელიღაც ღილაკს ხელი დააჭირა და მთელი ოთახი გააჩახჩახა. ყველა ეუბნებოდა მას, თუ რა შესანიშნავია ეს ყველაფერი, რომ მან მათზე იფიქრა და მალე ოთახში ყველა იცინოდა, ესეოდნა მას. და ამ შესხვედრის ყოველი წუთი ისეთ სიამოვნებას ანიჭებდა პატარა ბიჭს, რომ სახლში მიმავალი თხოვდა მამას, დაბრუნებულიყვნენ უკან და ყველაფერი გაემეორებინათ. ეს იყო გაცვეთილი, რომელიც არასოდეს დაავინდებოდა პატარას, და იმ დღიდან ის ყოველთვის ეძებდა შესაძლებლობას გაეცა, და არა მხოლოდ მიეღო.

— საუცხოო ისტორიაა, — თქვა ახალგაზრდამ.

— ნება მიბოძეთ, გიამბოთ კიდევ ერთი ამბავი, რომელიც მე განსაკუთრებით მიყვარს, — თქვა მისტერ ტენსუორტმა. — რამდენიმე წლის წინათ გავიცანი ერთი კაცი სახელად პოლი და ის მიყვებოდა, როგორ შეიძინა უნარი სიკეთის გაცემისა ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც კოლეჯის სტუდენტი იყო. როდესაც პოლს თვრამეტი წელი შეუსრულდა, უფროსმა ძმამ მას ახალი მანქანა აჩუქა და, ბუნებრივია, პოლი გაემგზავრა კოლეჯში, რომ მე-



გობრებისთვის ეჩვენებინა. ერთი პირველკურსელი ალტაცებული დატრიალებდა ახალი მბრწყინავი მანქანის გარშემო. „რას იტყობი?“ — შეეკითხა პოლი. „ფანტასტიკაა! — ალტაცებით უპასუხა პირველკურსელმა. — უბრალოდ ფანტასტიკაა!“ ხოლო როდესაც პოლმა მას უთხრა, რომ ეს არის უფროსი ძმის საჩუქარი დაბადების დღისთვის, პირველკურსელი გაოცებული იყო. „ეს შენ ძმამ აჩუქა?! — წამოიყვირა მან. — აუ! როგორ მინდოდა...“ პოლი მიხვდა, რისი თქმა უნდა პირველკურსელს: „როგორ მინდოდა, მეც ასეთი ძმა მყოლოდა“. მაგრამ პირველკურსელმა ეს ფრაზა სრულიად სხვა სიტყვებით დაასრულა, და პოლს ეს სიტყვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახსოვდა. იმ ბიჭმა თქვა: „როგორ მინდოდა, მეც ასეთი ძმა გყოფილიყავი“

ამ პირველკურსელის სიტყვებმა ისე ააღვლევა პოლი, რომ შესთავაზა მასთან ერთად გაგრილებულიყვნენ სადილის შესვენების დროს. ჭაბუკი ვერ მალავდა თავის აღფრთოვანებას და შეეკითხა, ხომ არ შეიძლებოდა გაჩერებულ იყვნენ მის სახლთან. პოლმა გულში გაიღიმა. ის ფიქრობდა, რომ იცის, რისი თქმა უნდოდა ჭაბუკს: ნაეტკარაბა პატარა ბიჭისა და მეუბნელების წინაშე, რომ დაჰყავს ასეთი დიდებული ახალი მანქანა.

ათი წუთის შემდეგ მანქანა პირველკურსელის სახლის წინ გაჩერდა, და ის შინ შევარდა. ერთი წუთის შემდეგ ის ისევ გამოჩნდა, თან პარმალზე ნივალდის ეტლს მოაგრობდა. „აი, ესაა ჩემი ძმა!“ — წამოიყვირა, სემ, გინდა ჩვენთან ერთად გავიგრილოთ?“ მან პანანინა კოჭლი ბიჭუნა აიყვანა ხელში, ჩასვა მანქანაში და სამივე ერთად გაგრილდა. იმ დღეს ახალი მანქანის მფლობელი შეცბუნებული იყო და პირველად თავის სიცოცხლეში მიაღწია იმას, რასაც ბიბლია გვიქადაგებს: „უფრო დიდი ნეტარებაა გასცე, ვიდრე მიიღო“.

— მაშ ასე, როგორც ხედავთ, — თქვა მისტერ ტენსუორტმა, — როდესაც თავს სხვას ვწირავთ, ჩვენ არა მხოლოდ ვთავისუფლებთ საკუთარი პრობლემებისგან. პირადად ჩემთვის ეს ჭეშმარიტი ბედნიერების უდიდესი მუღამია: ყველაფერი, რაც უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შევავსოთ ჩვენი სიცოცხლე სიხარულითა და ბედნიერებით, — ესაა მივანიჭოთ იგი სხვას.

აი რატომ ვეძებ ყოველთვის ადამიანებს, ვისაც შემიძლია დავეხმარო. მე მათ ვჩუქნი არა მხოლოდ ფულს, არამედ საკუთარ დროსაც. იმიტომ დავინეცი ეს მუშაობა: ინვალიდ ბავშვებს ვასწავლი ცურვას, ბედნიერე-

ბას მანიჭებს. იმის შესაძლებლობა, რომ გავხადო მათი ცხოვრება თუნდაც ოდნავ მზიარული. არა მგონია, რომ არსებობს ბედნიერება, უფრო დიდი, ვიდრე ის, რომელიც წამოიჭრება, როდესაც შეგვიძლია დავეხმაროთ ან ვაჩუქოთ სიხარული სხვა ადამიანურ არსებას.

სახლისკენ მიმავალი ახალგაზრდა ფიქრობდა იმის შესახებ, რაზეც მისტერ ტენსუორტი უამბობდა საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით. უკანასკნელ წლებში ის ძალიან ღრმად იყო ჩაფლული თავის პრობლემებში, რომ ეფიქრა და ელელვა სხვა ადამიანების პრობლემებზე. მას არასოდეს მოსვლია აზრად ის, რომ, თუ ყურადღებიანი იქნებოდა გარშემომყოფების მიმართ და არ დაიშურებდა დროს, რათა რაღაც გააკეთოს მათთვის — განსაკუთრებით თავისი მახლობლებისთვის, — სინამდვილეში დაეხმარებოდა საკუთარ თავსაც.

როდესაც სახლში დაბრუნდა, ახალგაზრდამ წესრიგში მოიყვანა თავისი ჩანანერები.

## ჭეშმარიტი ბედნიერების მარკა მუღამი

### - ბოძების ქალაა

● ბედნიერებას ვერ მონახავ საკუთარი თავისთვის რაიმე ქონებასა და რაღაცის შექენაში.

● იგი შეფუთულია სხვებისთვის ბოძებასა და დახმარებაში.

● რაც მეტი სიხარული და ბედნიერება მიგაქვს სხვებისთვის, მით მეტს ვიძენთ ჩვენთვის.

● ყოველდღე შეიძლება ვჭედოთ საკუთარი ბედნიერება, როდესაც ვეძებთ საშუალებას ვუბოძოთ იგი გარშემომყოფებს.

## მეხსენა მუღამი

### ურთიერთობის ქალა

ორი დღის შემდეგ პატარა ქალაქის ცენტრში ახალგაზრდა შეხვდა მორიგ ადამიანს თავისი სიიდან. ედჰანის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში პატარა ბინაში მარტო ცხოვრობდა. ის ყოველთვის როდი იყო მარტო. ოდესღაც ის ცალკე ოთხსაძინებლიან სახლში ცოლთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მამას დაინეცდა.

— არავის დადანაშაულება არ შემიძლია, — უთხრა მისტერ ჰანსენმა ახალგაზრდას. — მე თვითონ გავაფუჭე ყველაფერი, და ვერავის დავებ ბრალს, საკუთარ თავის გარდა. სინამდვილეში მე მადლობელიც ვიყავი იმისთვის, რომ მეორე შანსი გამიჩნდა. სპირტიანს არ ვეჭანები უკვე ათი წელია.

— როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? — შეეკითხა ახალგაზრდა.

— დაიწყო დიდი ხანია, მრავალი წლის წინათ. სტრესი და დაძაბულობა სამუშაოზე, შემფოთება, დათრგუნვილობა; თავადაც იცით, თუ როგორ ხდება ეს. ერთხელ საღამოს ადგილობრივ ბარში შევიარე და თანამშრომლებთან ერთად დავლიე. სულ რაღაც ორი ჭიქა ღვინო, მხოლოდ იმისთვის, რომ ცოტა მოვდუნებულიყავი და დამეხვენა. ამან მიშველა, და მეორე საღამოსაც იმავე ბართან შევიჩერდი. სანამ მოვასწრებდი რაიმეს გარკვევას, ყოველ საღამოს ვსვამდი მთელ ბოთლს, ძალიან მალე კი ეს მოცულობა ორსამ ბოთლამდე გავზარდე. გავიდა ძალიან ცოტა დრო — ალბათ, რამდენიმე თვე — და დავინეცი მამ მთელი განმავლობაში. როგორც თავადაც მიხვდებით, ცხოვრება ამერიკა: დავინეცი ცუდად მუშაობა და გამომაგდეს, ცოლმა წაიყვანა ბავშვები და გამშორდა, არ შემეძლო ანგარიშების გადახდა, და რამდენიმე თვის შემდეგ ბინიდან გამომასახლეს. დამთავრდა იმით, რომ უსახლკარო გავხდი, ვცხოვრობდი ქუჩაში და ვმათხოვრობდი.

ახალგაზრდა გაოცებული იყო მისტერ ჰანსენის ისტორიით. ის არასოდეს შეხვედრია ადამიანს, რომელიც ოდესღაც იყო მათხოვარი, და ყოველთვის მიაჩნდა, რომ უსახლკარონი არიან პარიები და წარუმატებელი ადამიანები, სულაც რომ არ ჰგვანან ნორმალურ ადამიანებს, მაგრამ მისტერ ჰანსენი სავესებით ნორმალურად გამოიყურებოდა. ახალგაზრდას შერცხვა, როდესაც შეიგრძნო, რომ ნებისმიერი უკიდურესად უბედური ადამიანი, რომელმაც ვერ შეძლო გამკლავებოდა თავის პრობლემებსა და ყოველდღიურ დაძაბულობას, ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს მსგავს საშინელ მდგომარეობაში. „მადლობა ღმერთს, რომ ამ უსიამოვნებამ გვერდი ამიარა“, — გაიფიქრა მან და ყავა მოსვა.

— მაინც როგორ შეძელით დაბრუნებოლით ნორმალურ ცხოვრებას? — შეეკითხა იგი.

— ეს იოლი როდი იყო. მე დახმარება დამჭირდა. იმ დროს ვერავისთან ვაღიარებდი, რომ დახმარება მჭირდებოდა, მაგრამ ერთხელ ეს გავაკეთე. თავს ხაფანგში გაბმულად მივიჩნევი, სრულიად უსუსურად. მახსოვს, ზამთრის ერთ საღამოს ისე გავიყინე, რომ ლამის გონება დავკარგე, სპირტიანმა სასმელმაც ვერ გამიყუწა ტკივილი. ვიფიქრე, რომ მალე მოკვდებოდი. სამი დღე არაფერი მიჭამია და მუყაოს კოლოფში ვინეტი, მოკუნტული და მოკანკალები ყინვისგან. მრჩებოდა მხოლოდ მელოცა, რომ დასასრული მოსულიყო მალე და უმტკივნეულოდ.

(გაზრდილობა იძნება)

წერილი მუთისიდან

ბანსაცდელის უამს უფალი ერს ყოველთვის მოუფლეს გმირს, რომელიც ღვთიური ძალით არის მოსილი, ღმერთი მასთანა და ეხმარება იმ მიზნებისა და ამოცანების გადაჭრაში, რისთვისაც ხალხთან გამოგზავნა.

თქვენ, ბატონო ბიძინა, იმ დროს მოუსწარიტ ქართველ ერს, როცა მისი მზე ჩასასვენებლად ემზადებოდა, როცა ქვეყანა ისტორიის სარბიელიდან თითქმის გაქრობის პირას იდგა, რადგან ენა და ეროვნება აღარ არსებობდა (არც არსებობს ჯერჯერობით). ეროვნება, როგორც სიტყვა გაქრა. თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ამას თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

ბატონო ბიძინა, პირდაპირ გადავალ საქმეზე, რადგან თქვენ მიდებულ-მოდებული ლაპარაკით ვერ დაგაინტერესებთ, ამიტომ ვინცე იმით, რომ თქვენ, საერთოდ, ისტორიულ და პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენისთანავე მიიპყარიტ ქართველი ხალხის ყურადღება. მეტ-ნაკლებად ყველას ესმოდა თქვენი ამბავი, თუმცა, როგორც გაირკვა, ლეგენდა სინამდვილე ყოფილა, რაზეც მტყველებს წიგნი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის თქვენ მიერ გაკეთებულ უდიდეს სიკეთეებზე. რაც წიგნი მხოლოდ ნაწილობრივ აისახა და უმეტესობა წიგნს მიღმა დარჩენილი.

ბატონო ბიძინა, ყოველივე ამისათვის თქვენ ქართველმა ხალხმა განდოთ როგორც საკუთარი თავი, ისე თვით ქვეყნის ბედი. თქვენ კი სულ მოკლე ხანში გარძანეთ, რომ პოლიტიკური ასპარეზიდან გადისართ... ყოვლად დაუჯერებელია და მეტად ცუდად მოსასმენი.

ბატონო ბიძინა, თქვენ ისტორიამ ბიბლიური მოსეს როლი დაგაკისრათ და გგონიათ, უფლის ნების წინააღმდეგ წახვიდოდით?

თქვენ თქვენი ცხოვრების ბედი უკვე დაუკავშირეთ ქართველი ხალხის ბედს, ამიტომ ან გაიყვანთ მას ალ-თქმულ გზაზე, ან მასთან ერთად დაიღუპებით - არა მგონია, ადამიანს, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება მგლების ხროვაში გაატარა და იქიდან ისე გამოვიდა, ერთი ნაკანრიც არ მიუღია, ასეთი რამეები ეშინოდეს. ხალხი გაოგნებულია, ბატონო ბიძინა, თქვენი განცხადებით.

ალბათ, თქვენი თანამებრძოლები ვერ გიბედავენ სიმართლის თქმას ან გულის ნაკარნახევის გამჟღავნებას, თორემ რატომ არ გეუბნებიან, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკიდან თქვენი წასვლა ყოვლად შეუძლებელია? ეს ხომ იმას ჰგავს, მენავემ რომ ხალხი შუა ზღვაში მიატოვოს... „ღალატია ამგვარი ფიქრი“.

ბატონო ბიძინა, 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველ ხალხსა და მიწელ საქართველოს ყელზე ჰქონდათ მახვილი მიბჯენილი. თქვენ მითიურ გმირად გამოეცხადეთ და გადაარჩინეთ. ახლა მეორედ დადგა იგივე საშიშროება - ეს ოქტომბერიც არანაკლებ საშიშია, ამიტომ თქვენმა თანამებრძოლებმა უნდა გაიმარჯვოს, უნდა დაუბრუნოთ ხალხს რწმენა, რომ არსადაც არ მიბრძანდებით, რომ ეს ყველაფერი იყო პოლიტიკური მანევრი მტრისათვის თავგზის ასახვევად...

შეაყინეთ ღიმილი თქვენს მტრებს, - არსად არ მივდივარ-თქო. ეს პოლიტიკოსის კარგი მანევრია (ტალირანი). შემდეგ უფრო დაფიქრდებიან თქვენს ნათქვამზე და კომენტარებსაც იოლად ვეღარ გაბედავენ. ხალხი თქვენგან ელოდება ბევრ სიკეთეს.

ელოდება ნაციონალების პრეზიდენტისგან წართმეულის დაბრუნებას. არადა, ნაციონალები დღემდე



შეაყინეთ ღიმილი მტრებს!

ბარათი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

სიკეთედ იწერენ, რა მკრეხელობაც ჩაიდინეს. აი რამდენიმე მათგანი.

ისინი ამბობენ, რომ მეცნიერების განვითარებას უწყობდნენ ხელს. სინამდვილეში კი გააუქმეს ეროვნული სამეცნიერო აკადემია და ღვანლმოსილი მეცნიერები, მათ შორის მსოფლიოში სახელგანთქმული ალბერტ თაველიძე საქართველოდან გააძევეს. მიშისტებმა ლექტორ-მასწავლებლებს, მწერლებსა და, საერთოდ, ქართულ ინტელიგენციას ჩარეცხილები უწოდეს.

წყლის გამყიდველი ჯიხურის მეპატრონე (ბოდიშ ვიხდი მათ წინაშე) უფრო დაფასებული იყო, ვიდრე ღვანლმოსილი მეცნიერი, პროფესორი, რადგან ჯიხურიდან ფული შემოდიოდათ, პროფესორებიდან კი ვერაფერს ღებულობდნენ. სიტყვა პროფესორი, შეურაცხყოფელი გახადეს ხალხის თვალში. ღირსება წაართვეს დამსახურებულ ადამიანებს. არ არსებობდა მათთვის საპატივცემულო პიროვნება. ყველას ერთნაირად უფლება შეუზღუდავად მიუხიეს პატრულის სამსახური, არც კი უსმენდნენ ადამიანებს, რადგან ჰქონდათ დევიზი. დასაჯე ვინც უნდა იყოს, პასუხს მე ვაგებ!

ეს დევიზი კარგად იცით, ვისი მოწოდებაც იყო (ჰიტლერის) და კარგად იცით, რაც უნოდა ხალხმა მას. იცით, რა ბედი ეწიათ ფაშისტებს და ისიც, როგორ გაასამართლა ისინი საერთაშორისო ტრიბუნალმა.

ნაციონალებს რა ჰგონიათ, ნაკლები რისხვა ელით ხალხისგან?

ისინი მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს უზნეობისაკენ. მათ გაანადგურეს ქართული ოჯახები.

ქართველი ქალები ხელგანვიღონ მათხოვრობენ თურქეთის, იტალიის, საბერძნეთის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ქუჩებში. ბევრი მათგანი საკუთარი მე-

ულის გარდაცვალებასაც კი ვერ დაესწრო. ნაცები კი ამბობენ, რომ ხალხზე ზრუნავდნენ. აღარაფერი აშინებთ ამ სიცრუის გამო? მათ ხომ ღმერთიც დაივინყეს! არც ღმერთი სწამთ და არც ხატი!

აკადემიკოსი, ბატონო ვანო კილურაძე სამსახურიდან დაითხოვეს - მსოფლიოში აღიარებული და საქართველოში მათემატიკის სკოლის ერთ-ერთი უდიდესი ფუძემდებელი. მათემატიკის ინსტიტუტს შენობა გაუყიდეს...

რამდენი ვინმე შეიძლება ჩამოვთვალოთ! ბატონო ბიძინა, გვჭირდებით, ძალიან გვჭირდებით. ნახევრად გაკეთებული საქმე გაკეთებულად რომ არ ითვლება, თქვენ სხვაზე უკეთ მოგეხსენებათ, ამიტომ შემომდე უნდა გაჰყვეთ თქვენ გზას და ოთხი წლის შემდეგ თვითონ მიგიჩინეთ ადგილს ქართველი ხალხი.

თქვენს გვერდით აუცილებლად უნდა იყოს გონიერი ფილოსოფოსი, როგორც ამას ძველი ბერძნები გვირჩევენ.

ხალხი ბრძენია და გონიერი. ქვეყანა ბრძენმა ფილოსოფოსმა უნდა მართოს, ნათქვამია.

ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ რჩეულს - თქვენს რჩეულ გიორგი მარგველაშვილს, ოღონდ თქვენ უნდა დაუდგეთ გვერდით, ეს საქართველოს უდავო და საბოლოო გამარჯვების საწინდარია.

ასე, მხოლოდ ასე შეძლებთ თქვენ დაგვიბრუნოთ ეროვნება, ერთიანი ქვეყანა, წართმეული ღირსება. ამისთვის არის თქვენთან ქართველი ხალხი - თქვენთან და მხოლოდ თქვენთან.

მოკრძალებით, მაგრამ მაინც მსურს ჩემი აზრი გამოვთქვა დღევანდელი საინფორმაციო სამსახურების მისამართით: „ძალიან კარგად“ მუშაობს „რუსთავ-2“-ის სატელევიზიო არხი, სადაც ნაციონალები თავიანთ გაფუჭებულ საქმეებს (ცოდვებს) გმირობად ასაღებენ და უსირცხვილოდ აწვდიან ხალხს ყალბ ინფორმაციებს. თქვენ კი, რაც კარგი გააკეთეთ, იმას ვერ აწვდით მოსახლეობას... მოისუსტებს თქვენი საინფორმაციო სამსახური! ვერ მიაქვს ხალხამდე თქვენს მიერ გაკეთებული უამრავი სიკეთე.

ნომ აჯობებს, შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც ყოველდღე მიაწვდიდა ხალხს ინფორმაციას გაკეთებული სიხალეების შესახებ, თორემ ნაციონალების პროპაგანდამ ღამის გმირებად გამოაცხადოს ნაცმობრების „ცოცხლები“, ხოლო მათ მიერ ჩადენილი ცოდვები თქვენ მოგასწავლოს.

მათ ნამდვილად სჭირდებოდათ პასუხის გამცემი, აი, ისეთი როგორიც თუნდაც პარლამენტარი ზაზა პაპუაშვილია, რომელმაც ყველას სათქმელი სიმართლე უთხრა გიორგი ბარამიძესა და მის თანამზრახველებს. ასეთი ვაჟკაცური შემართებით ხშირად უნდა შევახსენოთ, ვინ არიან ისინი და ასევე უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ ახალი ხელისუფლების მიერ ბევრი რამ გაკეთდა და ბევრიც ვერ კიდევ არის გასაკეთებელი. აუცილებელია ხალხმა იცოდეს ჭეშმარიტება!

ოთარ შუშუაშვილი

პროფესორი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს პოლიტიკური მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

შურნალისტური გამოძიება

წინამდებარე წერილის სათაურს ადასტურებს თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის მიერ ცოტა ხნის წინათ გაკეთებული საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ აჭარა, კერძოდ, ბათუმი, უნდა განდეს თურქეთის (ყოფილი ოსმალური იმპერიის) განუყოფელი ნაწილი, ხოლო ბოლოდროინდელი მოვლენები იმას მოწმობს, რომ ამ მხრივ საქართველოში რეალური ნაბიჯები იდგმება. სწორედ ამიტომ ყველამხრივ საფუძვლიანია განაცხადოთ, რომ თურქეთის ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსია ჩვენს ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ქვეყანაში დღითი დღე ძლიერდება.

ამის მტკიცებულება მრავლადაა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დღესდღეობით აჭარისა და არა მარტო მისი, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქული კაპიტალის მიერ იმართება. ბათუმში კი ზოგჯერ თურქულის გარდა სხვა ენა არც გესმის ვაცს. მცირე არქიტექტურის მეჩეთის სანაცვლოდ ცდილობენ, ბათუმში „დაამშვენონ“ გრანდიოზული მასშტაბის მეჩეთის შენობით. მეტიც: ბათუმში ყოველი ახლადშენებული შენობის არქიტექტურა წარმოადგენს თურქეთში არსებული შენობების პირდაპირ ასლს.

ჩვენს დედაქალაქში დავით აღმაშენებლის (ყოფილი პლენანოვის) გამზირზე არსებული და მოქმედი სავაჭრო ობიექტების უმრავლესობა თურქეთის მოქალაქეების საკუთრებაა, რომელთა გარკვეული ნაწილი დღესდღეობით სარგებლობს ორმაგი მოქალაქეობით (საქართველოს და თურქეთის).

მიზანმიმართული, სწრაფი და რეჟი ქარიშხალი მზადდება

საბითუმო და საცალო სავაჭრო ობიექტებში, როგორც წესი, თურქული საქონელი იყიდება.

თურქეთის ბიზნესმენებმა საქართველოში ძალიან იაფად მრავლად შეისყიდეს სანარმო ობიექტები და მათი განვითარება-ამუშავების სანაცვლოდ გააჩერეს ისინი იმ მიზნით, რომ საქართველოში ამა თუ იმ პროფილის სანარმო არ არსებობდეს, ხოლო მათი პროდუქციის სანაცვლოდ საქართველოში იმპორტული, კერძოდ, თურქულის მსგავსი პროდუქცია იყიდებოდეს. თურქეთის კაპიტალი საქართველოში არსებობს და მთელი რიგ მოქმედ სანარმოში წარმოადგენს სანაცვლოდ კაპიტალის უდიდეს ნაწილს, რაც ადასტურებს იმას, რომ თურქეთის ეკონომიკა, ანუ მისი კაპიტალი მნიშვნელოვანწილად მართავს საქართველოს ეკონომიკას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პროცესი სწრაფი ტემპებით ვრცელდება, ახლო მომავალში საქართველოს ეკონომიკა, ადგილობრივი სანარმოების სახით, გადაიქცევა თურქეთის საკუთრებაში მყოფ საწარმოებად. ამის პირდაპირ ანალოგს წარმოადგენს, კერძოდ, საქართველოს ენერჯეტიკაში და ბუნებრივი აირის გამანაწილე-

ბელ-სადისტრიბუციო ქსელში შექმნილი მდგომარეობა, როცა მისი თითქმის ასი პროცენტი დღესდღეობით რუსეთის საკუთრებაშია. ბათუმის აეროპორტი დღესაც იღებს თურქეთის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავებს, მათ მგზავრთა უმრავლესობა თურქეთის მოქალაქეებია. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია, რომ თურქეთის მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფო ანიჭებს განსაკუთრებულ პრივილეგიას - ისინი ტრავიდან ჩამოსვლისას სხდებიან ავტობუსებში, რის შემდეგაც ყოველგვარი საბაჟო და სასაზღვრო შემოწმების გარეშე კვეთენ საქართველო-თურქეთის საზღვარს. თურქეთის ტერიტორიაზე კი ისინი გადაიან თურქეთის სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასაზღვრო და საბაჟო შემოსემებს.

ყველაფერი ეს არ წარმოადგენს მოჩვენებით საფრთხეს და არ არის ენ. კაპიტალის-ტურ საქართველოში შემოსული უცხოური, კერძოდ, თურქული ინვესტიციების შედეგი. ამ ყველაფერს საფუძვლი ჩაუყარა 2004-2012 წლებში მიხვილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით სამშობლოს მოღალატე ხელი-

სუფლებამ, რომელმაც მიზნად დაისახა მოსპოს, გაანადგუროს ჩვენს ქვეყანაში ქართული ენა, რწმენა, რის შემდეგ ჯერ აჭარის რეგიონი და მერე მთლიანად საქართველო გადაქცეოს თურქეთის სახელმწიფოს ენ. ვილეთად.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოვიყვანოთ რამდენიმე საგულისხმო ფაქტს. პოლიტიკური ორგანიზაციის „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ აჭარის და ბათუმის მოსახლეობის გამოკითხულმა უმეტესმა ნაწილმა უარყო, მიზანშეწონილად არ მიიჩნია ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა, რაზეც თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა საჯაროდ განაცხადა, რომ თურქეთის სახელმწიფო არ დააფინანსებს ახალი მეჩეთის მშენებლობას. შემდეგ სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს მუფტიმ ჯემალ პაქსაძემ შურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას დააფინანსებენ აჭარისა და საქართველოს სხვა მხარეებში მცხოვრები მუსლიმანები თავიანთი შეწირულობებით. ამ დროს ცნობილია, რომ აჭარაში 2004-2012 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო არაერთმა თურქეთის მოქალაქემ, რომლებმაც მიხვილ სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერით ფაქტობრივად, შეძლეს თავიანთი ენ. ბიზნესის ჩანერგვა ჩვენს ქვეყნის ეკონომიკაში.





შურნალისტური გამოძიება

ამის გარდა 2008-2012 წლებში საქართველოში ამოქმედდა „ქართველ მუსლიმანთა კავშირი“ და „ახალგაზრდობაზე დახმარების ფონდი“, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა არ უკრძალავს უცხოეთიდან ქართველი მუსლიმანებისგან ამა თუ იმ ოდენობის შეწირულობების მიღებას, რა თანხებსაც აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები და სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამართლებრივი დახმარების ფონდები იყენებენ. ამასთან სდება ახალგაზრდობის ფ. „გადაბრუნება“ მუსლიმანურ სარწმუნოებაზე. მათ სწავლა-განათლების მიღებას სთავაზობენ უცხოეთში რელიგიურ და სხვა საგანმანათლებლო სასწავლებლებში, ცდილობენ მათ გადაქცევას არა იმდენად მორწმუნე მუსლიმანებად, რამდენადაც, კერძოდ, თურქეთის სახელმწიფოს უცხოეთში (ჩვენს

ტამენის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი ბ.ჩაკვეტაძე: „თქვენი 2013 წლის 10 აგვისტოს განცხადების პასუხად, ქართველ მუსლიმანთა კავშირისა“ და „ახალგაზრდობაზე დახმარების ფონდთან“ დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯადი ქმედების ნიშნებს“. ასეთი აბსურდული და კანონსაწინააღმდეგო პასუხი მოგვანოდა მთავარმა პროკურატურამ. ეს კი პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ მათი მხრიდან არსებული ფაქტი იგნორირებულია, რომელიც უკავშირდება ზემოხსენებულ ორ არასამთავრობო მუსლიმანურ ორგანიზაციას, რომელთა ფინანსური საქმიანობა გამოიწვევს საქართველოში თურქეთის ეკონომიკურ-რელიგიურ ექსპანსიის არა მარტო განვითარება-გაღრმავებას, არამედ გაბატონებას, რაც თურქეთის სახელმწიფოს მისცემს რეალურ საშუალებას, მისი პრემიერის ერდოლანის და სახული მიზნის საფუძველზე იმავე მიზნის მიღწევის რეალურ შანსს. სწორედ ამიტომ მთავარი პროკურატურის მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამგვარი პოზიციის დაკავე

მიზანმიმართული, სწრაფი და რუმი ქარიშხალი მზადდება

შემთხვევაში საქართველოში ინტერესების არა მარტო დამცველებად, არამედ აქტიურ პრობანდისტებად. ამ პროცესში ადგილი აქვს ამა თუ იმ პირის (საქართველოს მოქალაქის) ფულადი დაინტერესების გამოყენებით გადაბრუნებას მუსლიმანური სამეაროსკენ.



ზემოთ მოყვანილი ფაქტები წარმოადგენენ და ადასტურებენ 2004-2012 წლებში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილ ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულს, რომლის შედეგად მოყოლებული 2004 წლიდან (თუ გამოვიყენებთ 1992-2003 წლებს), საქართველოში საცალო და საბითუმო ბაზარზე უმეტესწილად თურქული საქონელი იყიდება, წლიდან წლამდე ძალას იკრებს თურქეთის კაპიტალი და საყოველთაოდ ხდება არა მარტო ქართველ მუსლიმანებში ისლამის იდეების გაღრმავება, არამედ ქართველ ქრისტიანებში იმავე რწმენის გავრცელებას, რა პროცესშიც მთავარ ბერკეტად გამოიყენება „ობიექტის“ ფინანსური დაინტერესება, რაც გამოწვეულია არა იდეური-რელიგიური მოტივებით, არამედ სილატაკით.

ბა, სამშობლოს ღალატის ტოლფასია, რაც ამავედროულად სასესებით ლოგიკურია იმის გამო, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის კადრების უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ 2004-2012 წლებში მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის თანამონაწილენი. სწორედ ამიტომ მთავარმა პროკურატურამ არჩილ კვიციანი-მა დღემდე რეალურად ვერ შეძლო, ან არ შეძლო, რაც ყველა შემთხვევაში დანაშაულის ტოლფასია, ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანოს გაჯანსაღება (კადრების სახით).

ისმის კითხვა: იქნებ ჩვენ, შურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“, მოგვეჩვენა, რომ საქართველოში რეალურად არსებობს და უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის თურქეთის ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსია, რომელიც მიზნად ისახავს ჯერ აჭარის, შემდეგ კი საქართველოს სხვა კუთხეებს და, საბოლოოდ, მთელი საქართველოს დაპყრობას? და თუ ჩვენ ეს მოგვეჩვენა, მაშინ აგვისტოს, და, ამ შემთხვევაში, მივმართავთ ხელისუფლების ყველა შტოს – პრემიერს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტს: თუ ჩვენი პუბლიკაციებით, წერილებით, მიმართვებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში ვნერგავთ უსაფუძვლო პანკას და, ამავედროულად, ვცდილობთ, კერძოდ, საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა დამაბნელებელ, მაშინ ინტელმდღანელო (გამოვლენილი მტკიცებულების გამოყენებით) მოქმედი კანონმდებლობით და გაგვასამართლოთ. შექმნილი ვითარებაში საქონოდ ჩავთვალოთ, მიგვემართა საქართველოს საპატრიარქოსთვის და ეს გავაკეთოთ ორჯერ, თუმცა კი, მათი მხრიდან ჩვენს მიმართვებზე არანაირი, არც ზეპირი, არც წერილობითი რეაგირება არ ყოფილა.

შექმნილ ვითარებაში, ვუცხადებთ როგორც ჩვენი სამშობლოს მტრებს, ასევე მეგობრებს: შურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“ თურქეთის ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს, რის შესახებ ახლო მომავალში გახდება ცნობილი ახალი პუბლიკაციებით.

თინათინ ჩხიკვაძე, შურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

შეზღუდვის კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRP II)

განმასრციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRP66/CW/6CB-08

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: მეორე გზის ქვედა-საქარა-საზანო კმ1-კმ14 რეაბილიტაცია ტენდერის სახეობა: საერთაშორისო ტენდერი კონტრაქტორი: შ.პ.ს. „კომპანია ბლექ სი გრუპ“ მისამართი: ვაჟა-ფშაველას 71, 0186, თბილისი, საქართველო კონტრაქტის ღირებულება: 6,532,836.23 ლარი (ექვსი მილიონ, ხუთას ოცდა ოთრმეტი ათას რვაას ოცდა თექვსმეტი ლარი და ოცდა სამი თეთრი.) კონტრაქტის ხანგრძლივობა: 510 (ხუთას ათი) დღე.

Contract Award Notification

Project Name: Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)

The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Country: Georgia Project Number: P122204

Bid/Contract Reference No: SLRP II/CW/ICB-08

Scope of Contract: Rehabilitation of the Secondary road Qveda-Saqara-Sazano km1-km14

Bid type: International Competitive Bidding Contractor: "Company Black Sea Group" Ltd.

Address: 71 Vazha-Pshaveia Ave. 0186, Tbilisi, Georgia.

Total contract cost: 6,532,836.23 GEL (Six Million, Five Hundred and Thirty Two Thousand, Eight Hundred and Thirty Six Laris and Twenty-Three Tetris.)

Contract duration: 510 (five hundred and ten) days.

შეზღუდვის კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRP II)

განმასრციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRP66/CW/NCB-12

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: ადგილობრივი გზის დიდი დმანისი - დმანისი - გომარეთი - ბედიანი კმ17-კმ26 რეაბილიტაცია.

ტენდერის სახეობა: ადგილობრივი ტენდერი. კონტრაქტორი: შ.პ.ს. „ავტობანი“

მისამართი: უზნაძის ქ. 379, თბილისი, საქართველო.

კონტრაქტის ღირებულება: 2,488,660.65 ლარი (ორი მილიონ, ოთხას ოთხმოცდა რვა ათას, ექვსას სამოცი ლარი და სამოცდა ხუთი თეთრი).

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 365 (სამას სამოცდა ხუთი) დღე.

Contract Award Notification

Project Name: Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)

The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Country: Georgia Project Number: P122204

Bid/Contract Reference No: SLRP II/CW/NCB-12

Scope of Contract: Rehabilitation of the local road Didi Dmanisi - Dmanisi - Gomareti Bediani road section km17-km26

Bid type: National Competitive Bidding Contractor: "AvtoBani" Ltd.

Address: Uznadze str. #79, Tbilisi, Georgia.

Total contract cost: 2,488,660.65 GEL (Two Million, Four Hundred and Eighty-Eight thousand, Six Hundred and Sixty Laris and Sixty-Five Tetris.)

Contract duration: 365 (Three Hundred and Sixty Five) days.

# სპორტი

## კალათბურთი

### ისრაელმა რეპანში აპილო



**საბრტყილი** საკალათბურთო ნაკრებმა პიანში ისრაელის ეროვნულ გუნდთან მე-2 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა. შეგახსენებთ, რომ იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა ეილათში ებრაელებს 74:73 სძლიეს, ამჯერად კი 75:77 დამარცხდნენ. თავისთავად, აღნიშნულ შედეგში საგანგაშო არაფერია, უბრალოდ, დასანანი ის გახლავთ,

რომ ქართველმა კალათბურთელებმა დიდი უპირატესობა გაანიავეს. სტუმრები პირველ ტაიმში 19 ქულასაც იგებდნენ, საწყის ნახევარში კი 47:32 იმარჯვეს. სამწუხაროდ, შესვენების შემდეგ ისრაელის ნაკრებმა თამაშის „შემოტრიალება“ მოახერხა და ცუდად დაწყებული საქმე კარგად დაასრულა. მასპინძლებმა 6-წუთიანი მონაკვეთი 20:0 (!) მოიგეს,

უკანასკნელ წუთებზე კი 77:70 დაწინაურდნენ და, მართალია, სხვაობა ორ ქულამდე დავიდა, მაგრამ ქართველთა ბოლო შეტევა უშედეგოდ გაილია და საფინალო სირენაც გაისმა.

საქართველოს ნაკრების რიგებში ყველაზე შედეგიანი 19 ქულით გიორგი ცინცაძე იყო, 18 ქულა ჩაატარა ვიქტორ სანიკიძემ, ამერიკელი რიკი ჰიკმანის ანგარიშზე 15 ქულა იყო, ხოლო გიორგი შერმალინი 8 ქულას 14 მოხსნა წაამატა.

საქართველოს ნაკრები ევრობასკეტბოლში დასკვნით მოსამზადებელ შეხვედრას 1 სექტემბერს ჩაატარებს, როდესაც სტუმრად ლიტვას გაეჯიბრება. ქართველები კაუნასისკენ გზას 29 აგვისტოს აიღებენ, 2 სექტემბერს კი იქიდან ჩართული რეისით სლოვენიაში გაფრინდებიან.

**ისრაელი – საქართველო 77:75 (19:25, 13:22, 26:16, 19:12)**

**საქართველო:** ცინცაძე (34 წ. 19 ქ.), შერმალინი (30 წ. 8 ქ. 14 მ.), ჰიკმანი (30 წ. 15 ქ. 3 პ. 3 ჩ.), მარკო-ივილი (16 წ. 2 ქ. 3 პ.), ფაცაცია (20 წ.), სანიკიძე (32 წ. 18 ქ. 6 მ.), სანაძე (8 წ.), ცეციტიშვილი (10 წ. 6 ქ. 5 მ.), ბურჯანაძე (8 წ. 4 ქ.), ლეჟავა (8 წ.), ფხაკაძე (4 წ. 3 ქ.).

**მწვრთნელი:** იგორ კოკოშკოვი.

### ვიტალი ჯაფარიძე

## ფეხბურთი

### ქეცბაიას რჩეულნი

**საბრტყილი** ეროვნული ნაკრები ფეხბურთში 6 და 10 სექტემბერს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორ შესვენებარს ჩაატარებს: თემურ ქეცბაიას გუნდი საფრანგეთს და ფინეთს უმასპინძლებს.

**ქეცბაიამ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ მატჩებისთვის ქვეყნის მთავარ გუნდში მიიწვია:**

**მეკარები:** გიორგი ლორია (თბილისის დინამო), ნურკი რევიშვილი (გორის დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი)

**მცველები:** ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა (ორივე სამარის კრილია სოვეტოვი, რუსეთი), უჩა ლობუჯანიძე (დნეპროპეტროვსკის დნიპრო, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (სარანსკის მორდოვია, რუსეთი), გურამ კაშია (არნემის ვიტესი, ჰოლანდია), ზუ-

რბა ხიზანიშვილი (ქაისერისფორი, თურქეთი), დავით კვიციანი (თბილისის დინამო), გულვერდ თომაშვილი (გორის დილა)

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა,



სანდრო კობახიძე (ორივე დნეპროპეტროვსკის დნიპრო, უკრაინა), დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე მარიუპოლის ილიჩევცი, უკრაინა), ელგუჯა გრიგალაშვილი, ირაკლი

ძარია (ორივე თბილისის დინამო), ჯანო ანანიძე (როსტოვი, რუსეთი)

**თავდამსმელები:** ლადო დვალისვილი (ვარშავის ლეგია, პოლონეთი), ნიკა გელაშვილი (ალდამის ყარაბაღი, აზერბაიჯანი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), გიორგი ილიურიძე (გორის დილა), ბაჩანა ცხადაძე (ბაქოს ინტერი, აზერბაიჯანი)

საქართველოს ეროვნული ნაკრები უახლოესი ოფიციალური მატჩებისთვის მზადდება 2 სექტემბერს სფვის ტექნიკურ ცენტრ ბასაში დაიწყებს.

### გიორგი შოთაძე

## რაზმი

### კანადა ინგლისის საგზური დაიბევა

**კანადის მორაგებთა ეროვნული ნაკრები გახდა პირველი გუნდი, რომელმაც 2015 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპი წარმატებით გადალახა და ინგლისის საგზური მოიპოვა.**

შეგახსენებთ, რომ ორი წლის შემდეგ გასამართ მსოფლიო თასზე მონაწილეობის უფლება ავსტრალიამ, ინგლისმა, უელსმა, სამხრეთ აფრიკამ, სამოამ, შოტლანდიამ, ახალმა ზელანდიამ, არგენტინამ, ტონგამ, საფრანგეთმა, ირლანდიამ და იტალიამ 2011 წელს, ახალ ზელანდიაში ჯგუფურ ეტაპზე სამეულში მოხვედრით დაიბევეს. დარჩენილი რვა საგზური ამერიკის და ევროპის ზონის შესარჩევი ეტაპის პირველ-მეორე, ასევე, ოკეანეთის, აზიის და აფრიკის შესარჩევი ზონების გამარჯვებულს და რეპეშაჟის მოგებს ერგებათ.



კანადას ამერიკის პირველი გუნდის წოდებას აშშ ეცილებოდა. ერთი კვირის წინათ ჩარლსტონში 27:9 გამარჯვების შემდეგ კანადელები ფავორიტები იყვნენ, მაგრამ ამერიკელებმა ტორონტოში მათ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. სტუმრები ლელოთი დაწინაურდნენ, მაგრამ მალევე მდევრის როლში აღმოჩნდნენ, ტაიმი კი 8:8 დასრულდა. მე-60 წუთზე კანადამ თავისი მეორე ლელო გაიტანა, რაზეც აშშ-მ ექვს წუთში ჯარიმით უპასუხა და ბოლო წუთზე კიდევ ერთი ჯარიმა რომ გაეტანა, უკანასკნელი შეიძლება შეხვედრიდან თავის უმთავრეს კონკურენტთან პირველ გამარჯვებასაც იზეიმებდა, მაგრამ ასე არ მოხდა და მასპინძლებმა 13:11 იმარჯვეს. ამერი-

კელებს ჯარიმა რომც გამოეყენებინათ, ორი მატჩის ჯამში ინგლისის საგზური მაინც კანადას ერგებოდა, მაგრამ მსოფლიო თასზე გამარჯვებით გასვლა მაინც სულ სხვაა.

ამრიგად, კანადელები ინგლისში D ჯგუფში საფრანგეთის, ირლანდიის, იტალიისა და ევროპის მეორე გუნდთან ერთად ითამაშებენ. პირველ მატჩს ჩრდილოამერიკელები 19 სექტემბერს ირლანდიასთან გამართავენ, 26 სექტემბერს იტალიას დაუპირისპირდებიან, 1 ოქტომბერს ძალებს საფრანგეთთან მოსინჯავენ, ხოლო 6 ოქტომბერს ევროპის წარმომადგენელს გაეჯიბრებიან, რომელიც, სხვათა შორის, შესაძლოა, საქართველოც იყოს.

მოცემული მომენტისთვის საქართველოს ნაკრები ჯგუფში 19 ქულით ლიდერობს და დამატებითი მატჩებში უსწრებს რუმინეთს, რომელსაც მეორე წრეში თბილისში ეთამაშება. მესამე ადგილზე რუსეთია. მას 14 ქულა აქვს და მეორე წრეში ისიც თბილისში ჩამოდის. უმთავრეს კონკურენტთან შინ თამაში იმის ფიქრის საშუალებას იძლევა, რომ „ბორჯღალოსნები“ მსოფლიო თასზე ევროპის შესარჩევი ზონის პირველი გუნდის სტატუსით გაეღონ და C ჯგუფში ახალი ზელანდიის, არგენტინის, ტონგასა და აფრიკის შესარჩევი ზონის გამარჯვებულ გუნდებთან ითამაშებენ.

ამა წლის ნოემბერში კანადა და აშშ თბილისის ტესტ-მატჩების გასამართავენ ენვეციან. 9 ნოემბერს „ბორჯღალოსანთა“ მეტოქე ამერიკის შესარჩევი ეტაპის გამარჯვებული კანადა იქნება, ხოლო 16 ნოემბერს მისგან ძლეულ აშშ-ს ვეთამაშებთ. 23 ნოემბერს ქართველ მორაგებებს ტესტ-მატჩი სამოასთანაც ელით.

ისევ მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპს დავეუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ აშშ-ს ინგლისში გამგზავრების შანსი ჯერ არ დაუკარგავს. ახლა მას ორმატჩიან ჯაშში ურთიერთობის გარკვევა ურუგვასთან მოუწევს და წყვილის გამარჯვებული მსოფლიო თასზე ამერიკის შესარჩევი ეტაპის მეორე გუნდის სტატუსით იასპარეზებს.

### მანუარ ბიორბაძე

## ძიულ

### რიოში ჩვენთვის არ წვიმს

**ბრაზილიაში მიმდინარე ძიულ-ისტა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღეც ქართველთათვის წარუმატებელი აღმოჩნდა, არადა რიო დე ჟანეიროს ტატამზე ქვეყნის ღირსებას ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ლაშა შავდათაშვილი (66 კგ) იცავდა. ამ წონაში სხვადასხვა ქვეყნის 66 წარმომადგენელი ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში. ჩვენებური პაექრო-**

რიშად სობიროვი (შარშან და შარშანწინ 60 კილოში გამოდიოდა) დაამარცხა. 66 კილოში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა იაპონელი მასაში ებინუმა, რომელმაც ეს ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველთაგან ზებედა რეხვიაშვილმა და ნუგზარ ტატაშვილმა იჭიდავეს, თუმცა



ბეგში მეორე წრიდან ჩაერთო. ჩრდილოკორეელი მეტოქე იონგ სიკ ჩოე იოლად ჩამოიშორა გზიდან – ჯერ ორი იუკო აართვა, გონგამდე წუთით ადრე კი კორეელმა პასიურობისთვის მეოთხე შიდა მიიღო. ბრიტანელ კოლინ ოუტსს შარშან ლონდონის ოლიმპიური თამაშების მეოთხედფინალში ლაშამ დამატებით დროში შეოპოვით სძლია.

ამჯერად ისინი მესამე წრეში შეიბნენ. ბრიტანელმა ქართველ ფალავანს მეოთხე წუთის მიწურულს იპონით მოუგო. მანამდე შეხვედრის დროს სამი გაფრთხილება „დაიმასურა“, თუმცა სპეციალისტები და ქომბატე ვერაფრით სხინა, ლაშას მეორე და მესამე შიდეები რისთვის მისცეს.

მაგრამ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ქარავანი ჩავლილია და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტრიუმფებზე გადაინაცვლა. საგულსხმოა, რომ კოლინ ოუტსმა მეორე წრეში უზბეკი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი

ვერც ერთი მათგანი მედლებს ვერ მიუახლოვდა. ტატალაშვილმა პირველ წრეში ჩილეელი ტომას ბრინგასი დაამარცხა იპონით, მეორეში უნგრელ ატილა უნგვარს ოთხი გაფრთხილება მიაღებინა, შემდეგ ამერიკელ ნიკოლას დელპოპოლოს ვაზარით აჯობა. აი, ყაზახი დასტან იკიბაიევი კი მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა.

რეხვიაშვილი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება – დომინიკელ ფაუსტო ბივიეკას ვადამდე სძლია ორი ვაზარით, რუსეთის ნაკრების წევრი მურატ კოდოკოვი იუკოთი ჩამოიშორა გზიდან, მეორედფინალში კი სლოვენელ როკ დრავკოშთან იპონით დამარცხდა და ჩემპიონატს ისიც გამოეთიშა.

წინ კიდევ ოთხი წონა დარჩენილი (81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავანებმა წუხელ გვიან ღამით იჭიდავეს). იმედია, ქართველი ძიულისტები სავალალო მდგომარეობის გამოსწორებას შეძლებენ.

### ლემსო ცინცაძე

## ინტერნეტიდან

### „ჩირლიდერები“ და ამერიკელი ფემინისტები

**ბრის რაიმე, რამაც შეიძლება არ აღაშფოთოს ქალთა უფლებადამცველები? ქალთა უფლებები ჩვენს პლანეტაზე მართლაც წვირად ირღვევა და არაერთი შემთხვევაა, როდესაც სუსტი სქესის წარმომადგენლებს დაცვა სჭირდებათ, მაგრამ ქალთა უფლებათა დამცველებს სწორედ ზედმეტიც მოსდით.**

ამას წინათ ამერიკელ ქალთა ერთ-ერთმა ფემინისტურმა ორგანიზაციამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი კალათბურთის ტაიმებს შორის მოცუცუვე გოგონათა, იგივე „ჩირლიდერთა“ ტინგიციობის აკრძალვასთან დაკავშირებით.

ფემინისტების აზრით, ზოგიერთი ხურუშიანი მამაკაცი კალათბურთის დარბაზში სპორტული სანახაობის ნაცვლად მოცუცუვე „ჩირლიდერთა“ სახილველად დადის და ეს მათი აზრით ქალებისადმი სექსისტური და მოკიდებულიებაა. ამ ლოგიკას თუ გაეყვებით, პლაჟზე საცურაო კოსტუმში გამოწყობილი ასულების ტანტალიც უნდა აიკრძალოს, რადგან ზღვაზე ბევრი მამაკაცი სწორედ მათ სანახავად დადის...

### როსტომ რაჭველიშვილი



კვილი ანაბრები

ბრძელი გზა საკუთარი ფულისკენ

მწილზე ცივილიზებულ ქვეყანაში მოსახლეობა დანაზოგს საბანკო ანაბრებზე ინახავს, რაც ყველაზე სწორი ისევეა ცნობილი, როგორც ის, რომ ანგარიშზე შეტანილი ფულის უკან გამოტანა პატრონს ნებისმიერ დროს შეუძლია, რაც ასევე ცივილიზებული ქვეყნის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. ამ პრინციპით თუ ვინმე მდგომარეობს, გასული 90-იან წლებში ერთი საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებლობის ხელშეწყობით მომხრეებელ საქართველოს, მოსტაბაქოთა სივრცის ქვეყნებს შორისაც კი, ცივილიზებულის სტატუსი საერთოდ არ ეკუთვნის: თუკი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან მოსახლეობის მიერ წლების მანძილზე საკავშირო შემწავლები ბანკის ანაბრებზე დაგროვებული სახსრების ამა თუ იმ სახის ინდექსაციებით თუ პროპორციებით ან კვლავით დაბრუნება დაიწყო, რის თაობაზე ჩვენი გაზეთი ამა წლის მაისში (№ 98) წერდა კიდევ, საქართველოს არც ერთ მთავრობას ამის გასაკეთებლად არც ერთი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა — არაერთი წინასწარჩვენო დაბრუნების მიუხედავად — არც უფიქრია.

„მოქალაქეთა კავშირისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა მყვირალა პოპულისტური განცხადებებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ ალიანსის წარმომადგენელთა ამ თემასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებათა ტონი გაცილებით „მოგუდული“, თუმცა კი შრომითი დანაზოგის თე-

მა მათ გამოსვლებში მაინც საკმაოდ აქტიური იყო. ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ყველაფრის ერთბაშად გაკეთება ქვეყანაში შეუძლებელია, რაც სახელმწიფო და სახელმწიფო ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე მიიღო, თანაც წლები განდელი საკმაოდ არასახარბიელო ეკონომიკური ვითარების პირობებში, ანაბრების ამა თუ იმ ფორმით დაბრუნებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით აშკარად ნაადრევია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი პარლამენტში განსახილველად ჯერაც არ შესულა იმ მარტივი მიზეზით, რომ, როგორც აცხადებენ, მასზე მუშაობას მთავრობა ჯერაც განაგრძობს, ხალხში მაინც იმის განცდაა, რომ საკითხი ასე თუ ისე, მაინც დადებითად გადაწყდება. ამ შემთხვევაში ყველაზე რთული მომენტი ანაბრების მართებული ინდექსაცია, ვალუტების სამართლიანი კურსების დადგენა და სათანადო კოეფიციენტის გამოყენება. პარლამენტი კი საკითხს მხოლოდ მაშინ განიხილავს, როცა მთელი წინა „შავი სამუშაო“ ფინანსთა სამინისტროს ჩატარებული ექნება. და, რაც ყველაზე მთავარია: საინფორმაციო უწყებებში აუცილებლად უნდა იყოს თავისუფალი სახსრები, მოძიებული უნდა იყოს მათი წყარო.

ამ გადასახედებიდან მწელი სათქმელია, თუ რამდენად ნაადრევია მოსახლეობისთვის საკითხის დადებითად გადაჭრას ის გარემოება, რომ 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესებისა და მათ გამოწვევად მიზეზთა შესწავლა ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ დაიწყო, რადგან სწორედ ამას მოჰყვა მოსახლეობის აბსოლუტური გადატაცება, რის შემდეგ იგი წელში ვერა და ვერ გაიშარათა. ასოციაციასთან საგანგებოდ საბჭოური ანაბრების კვლევის ცენტრიც კი ჩამოაყალიბეს, რომელშიც შესაბამის მონაცემთა ბაზის შექმნაზე მუშაობენ. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ცენტრმა ეროვნულ ბანკს 1992-1993 წლებში მის მიერ დაახლოებით 500 ორგანიზაციაზე (ბანკებზე, ფირმებსა და კომპანიებზე) 854 მილიარდი საბჭოური მანეთისა და კუპონის (!) გაცემულ კრედიტებზე მონაცემები მოითხოვა. ცენტრს, საქართველოს შემთხვევაში კერძო პირებსაც შეუძლიათ მონაცემთა გარკვეული ინფორმაცია გააჩნიათ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ასოციაცია არ არის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამ საკითხზე ინტენსიურად მუშაობს. ორიოდე თვის წინათ საბჭოური და პოსტ-საბჭოური ანაბრების საკითხის გადაჭრის მიზნით შექმნილი პაპეტი ქვეყნის მთავრობას ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციამ წარუდგინა, თუმცა კი მაშინ ფინანსთა სამინისტროში ამ კვლევის მიმართ ინტერესი მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ. ასოციაციამ სა-

რეკომენდაციო პაკეტი როგორც მთავრობას, ასევე სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებას წარუდგინა, რაც დიალოგის დაწყების ერთ-ერთ პირველ მცდელობად უნდა შეფასდეს, რომლის საბოლოო მიზანია 2013 წლის დამლევამდე პრობლემის სამართლიანი გადაჭრა.

მოკლედ თუ ვიტყვით, ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის რეკომენდაციებით მთლიანად საქართველოს მთავრობისადმი 14, პარლამენტისადმი სამ და სასამართლოს მიმართ ერთ პუნქტს შეიცავს. პირველ ნაწილში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მთავრობამ, ანაბრების თანხების კომპენსირების პროცესი ახალი სოციალური პროგრამის ფარგლებში, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით უნდა დაიწყოს. საამისოდ საქართველოს მთავრობის ინვესტიციებისა და ანაბრების მფლობელთა სახელმწიფო რეესტრის შექმნა; მთავრობამ უნდა მიიღოს ერთგვარი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების გადაწყვეტილება; ანაბრების კომპენსაცია უნდა მოხდეს გონივრულ ვადებში; განსასაზღვრია კომპენსაციის მიღების რეგიონობა; ეროვნულ ბანკს უნდა დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ ბანკში საქართველოდან გადარიცხული ანაბრების ოდენობისა და მენაბ-

რეთა ვინაობის დადგენა; სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს უნდა დაევალოს მენაბრეთა შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა მოძიება და დამუშავება; იგივე უნდა გაკეთდეს 1990-იან წლებში აფხაზეთიდან და სამაჩხაბლოდან, აგრეთვე 2008 წლის აგვისტოში საქართველო-რუსეთის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით; პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს სათანადო მუშაო უგუფის შექმნა და ა.შ. რაც შეეხება პარლამენტის მიმართ რეკომენდაციას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, უწინარესად საქართველოს კანონმდებლობის შექმნა, რისთვისაც ჯერ ძალადაკარგულად უნდა გამოაცხადოს 1990 წლიდან მოყოლებული ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება, ხოლო რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მან საქმის წარმოების რეესტრის განახლება და საბჭოთა ანაბრების საქმეთა სისტემატიზაცია უნდა უზრუნველყოს.



ოთარ ტურაბელიძე

ფიქრებს რა ვუყო...

რიბიტი მელომანის ქართული ოცნება...

ცოტანდობა დაგრჩით მელომანი ძველი, გულზე თითქოს მიძიმე შემომანვა ლოდი... — ეს სტრიქონები მცირედი გარდაქმნით დაგვსახსნენ ცნობილი და მადლიერი თამაზ ჩხეიძის ერთ თარგმანს.

მელომანის თავიდანვე ვნებობდა, რომ ამ წერილში ჩემს თავზეც მომიწევს ლაპარაკი. ზეცაა თუ ბუნებაა, არც სასიძულრო ხმა დამაყოლა და არც მუსიკალური მინება, მაგრამ საოპერო მუსიკის ღრმა შეგრძნებისა და სიყვარულის ნიჭი მიბოძა და ამაზედაც დიდად მადლობელი ვარ (რაც სხვა დროსაც „მიღიარებია“ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან თუ გვერდებიდან).

სულ ბაღი ვიყავი, როცა კედელზე მიკრული რადიო-თეფშიდან (ძველი თაობებისათვის ნაცნობი და ეგებ მშობლიური საგანი) ერთ დილით არღე-კინის რომანის გასმისა „ო, კოლომბინა დარჩი ჩემი ერთგული, შორ გზას ვადგავარ...“ — როგორც მერე „დავადგინე“, ლეონკოვალოს სახელგანსმენილი ორატორიანი ოპერებიდან „ჯამბაზები“. მერე ის იყო, იმავე რადიო-თეფშიდან, ოლონდ უკვე საღამოში, სწორუბოვარი ვერდის „რიგოლეტო“ გადმოსცეს, ყოველი მოქმედების წინ მოკლე შინაარსის გახსენებით. კედელს აკრული, შინაურებმა რამდენიმე საათი ფეხი ვერ მომაცვლევინეს. ეგ კი არა, მეორე აქტი რომ დასრულდა და უბედურ მამას, შურისმაძიებელს, ტომარაში ჰერცოგის ცხედრის ნაცვლად საყვარელი ქალიშვილის ჯილდას უსულყო სხეული დახვდა, ვერაფრით ვერ დავიჯერე, რომ ოპერა ამით თავდება, რომ ბოროტად დაუსჯელი რჩება და მესხეთე მოქმედებას ველოდი...

აი, ასე დაიწყო ჩემი მრავალწლიანი სასიამოვნო ტყვეობა მსოფლიო საოპერო რეპერტუარში... მონი-ფულეობის ხანაში ალბათ ძალიან ვაოცებდი კონსერვატორიის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, როცა ხშირად მივიდიოდი სამკითხველო დარბაზში, საყვარელი ოპერების რუსულ ლიბრეტოებს გადმოვადებინებდი ხოლმე და საერთო რეჟელში ვინერდი „გაშინაურებული“ — ვოკალური ნომრების ტექსტებს. ისინი ახლაც ზეპირად ვიცი და როცა ყველაფერი ეს ასე „გაიტალიურებულია“, გუნებაში რუსულად ავავილებ ხოლმე სიტყვებს — ჰერცოგის ბაღადა იქნება, კავარადოსის პირველი ან მეორე არია, დე-გრეის ოცნებები, ნემორინოს სიმღერა თუ სუფრული „ტრაჯედიკადან“, ეგ კია, საყვარელი ადგილების მოსმენისას (მერამდენედ!), ვთქვათ, კალვის არისა და ოტელოს სიკვდილისწინა მონოლოგისა, ცრემლებს ველარ ვიკავებ, თუმცა ეს უკვე ახლა, სიბერეში მემართება...

ჰოდა, სიჭაბუკიდან მსდევს ოცნება — რა იქნებოდა, სახელგანთქმულ საზღვარგარეთულ საოპერო თეატრებში, იტალიაში „ლა-სკალა“ იქნება თუ „ლა-ფენიჩე“, ლონდონში „კოვენტ-გარდენი“, პარიზში „გრანდ ოპერა“ თუ ნიუ-იორკში „მეტროპოლიტენ ოპერა“ — ქართული შედეგების „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“, „ვინაა ქეთი და კოტეს“ გატანასა და დადგმას მოვესწრებოდა? იქაურ მაყურებელ-მსმე-

ნელს ხელთ სათანადოდ გადათარგმნილ-გაქმნილი ლიბრეტო თუ ტექსტები ექნებოდათ, სამივე სპექტაკლის შესანიშნავი მუსიკა და ჩინებული ქართული მომღერლების ხმები კი თავისას ხომ იქმნა? ნუთუ ახალი ჩამოსხმის ქართველი მილიარდერებიდან არ შეიძლება ვინმე დაინტერესდეს ამგვარი „პროექტით“?

უფრო მარტივი იდეაც ავიღოთ: ამჟამად უცხოეთში ბევრი ქართველი საუცხოო საოპერო მომღერალი იღვწის ყველა „პროფილისა“ — „კოლორატურით დაწყებული, ბანით დამთავრებული. რომელიმეს თუ მოუვიდა აზრად თუნდაც ხსენებული ოპერებიდან შეარჩიოს საზღვარგარეთი ვოკალური ნომრები (რამდენია ასეთი — „დედინაცვლი“, აბესალომის არიოზო „ვეძებდი ბედსა“, აბესალომისა და მურმანის გენიალური დუეტი, ოტელოსა და იაგოს დუეტზე არანაკლები, მაღხაზის გამოსასვლელი არია, „ცანგალას კუბლეტები“, „სულო ბოროტო“, კოტეს რომანის და სხვადასხვა); ათარგმნინოს, მუსიკაზე მორგებით, იტალიურად და საკონცერტო ნომრად მაინც იმღეროს საზღვარგარეთ გამართულ ლონდონიკებზე? მაგალითად ჩვენი სახელოვანი პაატა ბურჭულაძე ალბათ ხშირად მღერის „მეფისოფელის კუბლეტებს“ (გუნოს „ფაუსტიდან“), ოლონდ „ცანგალას კუბლეტები“ თუ უსინჯავს? ეგებ ნაკლებად არ „იმუშაოს“ უცხოელ მაყურებლებთან?

...ასეთია ჩემი „ქართული ოცნება“, ძველიცა და ახალიც. ეს უფრო „ალტრულეობადი“ მგონია, ვიდრე „სტუდია“ პოლიტიკური ქართული ოცნებები, რომლებითაც მერამდენედ ამღვრევენ ატმოსფეროს ჩვენი რაი და ვუიპოლიტიკოსები...

ისე, ვაი ჩვენი პოლიტიკოსები ვახსენე, ბევრ საზღვარგარეთელ პოლიტიკოსსაც გადავწვდები, მეტადრე იმათ, საქართველოს მეგობრობაზე რომ სდებენ თავს: თქვენ საქართველო ოდენ სააკარ-თელი ნუ გგონიათ... ცოცხალსა სააკაშვილსა გირჩევნოდეთ მკვდარი ფალიაშვილი მისი უკვდავი მუსიკით...

თამაზ ებანიძე

ენის კითხვომოვანებისთვის

დაჩაბრული, ანუ გაქუჩებული „კ“

დასაბნანიბ, რომ ტელევიზორზე უხედავად გრძელდება ბევრი უცხო სიტყვის უსწორო წმარება. თავს ნებას მივცემ მკითხველისათვის ზოგიერთი დაკვირვების გაზიარებისა.

ისეთი უბრალო სიტყვაა კი, როგორცაა სიგრიძის ერთგული „მეტრო“, ზოგიერთის ენა-პირით ხან „მეტრა“ ხდება და ხანაც „მეტრო“. გასაკვირია, რომ ასე ემართებათ მაღალი მდგომარეობის პიროვნებებსაც, თვით მინისტრებამდე.

გამორჩეული და იჩაბრა ასობგერა „კ“, როცა მის ნაცვლად არაერთ უცხო სიტყვაში მცდავად ამბობენ „კ“-ს. აი ამ სიტყვათა ნუსხა (ეგებ არც სრული): ადექატური (სწორია ადექატური), ექვივალენტური (ექვივალენტური), კოლოქიუმი (კოლოქიუმი), ქვანთი (ფიზიკური ცნება კვანთის მაგიერ), ქვობა (კვობა); ეგ კი არა, ქართულ სიტყვაშიც „რუკა“ (როგორც გეოგრაფიული თვალსაჩინოება) კ-ს მაგიერ ქ-ს ამბობენ ხშირად და გეოგრაფიული ტერმინი კი არა, სულხან-საბას იგავების გმირი რუქა გამოუდით („თქვა რუქამ არაკი...“).

ვისარგებლებ შემთხვევით და ერთ გარემოებაზეც შევანერებ ყუ-

რადლებას: აბრევიატურა „ცესკო“ ჩვენი გაზეთის პირშია, „სრ“-ის ფურცლებზე იყო შემოთავაზებული და ხიშტებით შეხვედრისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ახლა საბოლოოდ და ოფიციალურადაა დამკვიდრებულ-ხმარებული (კედლებზე და ბლანკებზე წარწერის ჩათვლით). ცესკო არის „სეკუმული“ ცენტრალური საარჩევნო კომისია და წარმოებულა ამ სახელოდების პირველი სიტყვიდან პირველი მარცვლის (ცე), მეორე სიტყვიდან პირველი ასოს (ს) და მესამე სიტყვიდან კვლავ პირველი მარცვლის (კო) აღეებით. ცესკო! მაშ საიდან გაჩნდა მეორე „ე“ და ცესკო? როგორც ეს მოსდით ტელეურნალისტებს, თვით კომისიის თანამშრომლებსა და სხვებსაც? „ს“-ს სულაც არ სჭირდება „ე“-ს „წამოღება“ (გავისწინოთ, „ეს-ეს-ეს-ურ“, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რუსული აბრევიატურა).

ახლა, როცა საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ვართ, ცესკო განსაკუთრებით ხშირად „ხმარებადი“ იქნება და ღირდა მის სწორ ფორმაზე საგანგებოდ შეჩერება.

თამაზ ილიაძე

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.  
 „საქართველოს რესპუბლიკაში“  
 299-62-77; 599 32-85-76.

ინფორმაცია

**აღურისხავი ეთილის სპირტი და წითელი ხიზილალა**

საბარტმელოზ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ორი პირი დააკავეს. როგორც „ინტერნაციონალური“ სამსახურიდან აცნობეს, ანრი სხიბიაშვილი და ნიკოლოზ თედიაშვილი სამეწარმეო საქმიანობისას ზედნადების გარეშე დიდი ოდენობით ეთილის სპირტისა და წითელი ხიზილალის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის ფაქტებზე დააკავეს.

ასევე გამოტანილია დადგენილება ვიტალი ბაზანდარაშვილის პასუხისგებაში მიცემის შესახებაც, ვინაიდან იგი, საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებას თავს არიდებს.

ინტერპრესი

